საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 17 სექტემბერი. 2019 წ. №183 (8849) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ევროკავშირი საქართველოში ევროპულ სკოლას ხსნის

„ევროპული სკოლა მისდევს უნიკალურ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ევროპულ და საერთაშორისო ღირებულებებზე — მულტიკულტურიზმი, მშვიდობა და ტოლერანტობა“, — ნათქვამია პრესრელიზში.

ევროპული სკოლის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარეს საქართველო პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა.

„როგორც ევროკომისრის, ჩემი პრიორიტეტია ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში ახალგაზრდა ხალხის დახმარება, რომ მათ მეტი შესაძლებლობები გაუჩნდეთ, შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები, რომელიც მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს. ამ მიზნით ჩვენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ახალგაზრდებისა და განათლების დაფინანსება გავაორმაგეთ და მივაღწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს. ევროპული სკოლის გახსნა არის შესანიშნავი მაგალითი ჩვენი პირობისა, რომ მოქალაქეებმა ხელშესახები სარგებელი უნდა მიიღონ“, — განაცხადა იოჰანეს ჰანმა.

როგორც პრესრელიზშია ნათქვამი, სკოლა თბილისის სიახლოვეს მდებარე ლისის ტბაზე მდებარეობს და პირველ მოსწავლეებს 2023 წელს მიიღებს. მათ შორის იქნებიან ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბელარუსი, მოლდოველი და უკრაინელი ახალგაზრდები.

„რაც მაგრები ვართ“...

ვითარცა ჯოჯოხეთის მუგუზალი...

ხაზარაძე საკუთარ პარტიაში ნიკა გვარამიას და კუპონას – რომან გოცირიძეს ეპატიჟება

იხ. 4 გვ.

55 000 პირველკლასელი „დედა ენით“ იწყებს!..

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ქვეყნის მასშტაბით 55 000-მდე პირველ კლასელმა დაიწყო სწავლა. მათგან საჯარო სკოლებში 48 254, ხოლო კერძო სკოლებში 6 067 მოსწავლე დარეგისტრირდა. ყველა პირველკლასელს საჩუქრად გადაეცა იაკობ გოგებაშვილის განახლებული „დედა ენა“.

2019-2020 სასწავლო წლისთვის ქვეყნის მასშტაბით 27 ახალი სკოლა აშენდა, 141 სკოლას კი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, ხოლო 884-მდე სკოლამ განახორციელა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები.

თბილისისა და რეგიონების მასშტაბით სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო 19 სკოლაში სწავლის დაწყების თარიღი რიგ შემთხვევაში ერთი, ზოგ შემთხვევაში კი, ორი კვირით გადავადდა.

მარად ცოცხალი შემოქმედი

ერის სიამაყე

5



მშვიდობისმყოფელების შვილები პირველ კლასში მამის მეგობრებმა მიიყვანეს

საერთაშორისო მისიებში მონაწილე ქართველი მშვიდობისმყოფელების შვილები პირველ კლასში მამის მეგობრებმა მიიყვანეს. სამხედრო მოსამსახურეების შვილებმა, რომელთა მამებიც ქვეყნიდან შორს, სამშვიდობო მისიებში იმყოფებიან, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საჯარო სკოლაში სწავლა დაიწყეს.

მამის მეგობრებმა ბავშვებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა მიულოცეს და თავდაცვის მინისტრისგან სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. სიურპრიზი ბავშვებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა.

სიცოცხლისა და სიკეთის ნიჭი

92 წლის ოთარ გაგუა ამჟამადაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას...

იხ. 6 გვ.

„დეილი მეილი“: საქართველო საიდუმლო მარგალიტია

7

გიორგი გახარია:

ევროკავშირთან ინტეგრაცია მეტ შედეგს მოგვიტანს

იოჰანეს ჰანთან შეხვედრაზე ვისაუბრეთ ასოცირების ხელშეკრულებაზე, ყოვლისმომცველი შეთანხმების კონკრეტულ ნაბიჯებზე, ოკუპაციასა და დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელებაზე, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან გამართული ერთობლივი განცხადებების დროს აღნიშნა.

ამასთან, გიორგი გახარიას განცხადებით, შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ქვეყანაში დემოკრატიის საბაზისო, ძირითადი ფუნქციები, მათი ფასეულობები დაცული იქნება და კიდევ უფრო გაღრმავდება.

„ჩემთვის დიდი პატივია, ვუმასპინძლო იოჰანეს ჰანს თბილისში, განსაკუთრებით დღეს, როდესაც დაიწყო სასწავლო წელი და საფუძველი ჩაეყარა ახალ პროექტს, ევროპულ სკოლას. ეს გახლავთ აღმოსავლეთ პარტნიორობის დამადასტურებელი კონკრეტული შედეგი, რომლის განხორციელებაშიც კომისრის პირადი წვლილი ძალზე დიდია. ეს იყო მისი პირადი ინიციატივა და კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ქმედებებისთვის, რომელმაც საშუალება მოგვცა, საქართველოში გვქონდეს ევროპული დონის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პირველ რიგში, განავრცობს ჩვენს ახალგაზრდებში ევროპულ ფასეულობებს“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისივე თქმით, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი საქართველოს სულ უფრო მეტ შედეგს მოუტანს.

„დღეს ვისაუბრეთ ასოცირების ხელშეკრულების, ყოვლისმომცველი შეთანხმების კონკრეტულ ნაბიჯებზე, თუ სად ვართ დღეს, რა გვაქვს გასაკეთებელი. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ ისეთ თემებზე, როგორიც არის თავისუფალი, უვიზო რეჟიმი და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას როგორც ინსტიტუციონალური, ასევე საკანონმდებლო მიმართულებით, რათა ჩვენი ეკონომიკების თავსებადობა იყოს მაღალი, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს მოქალაქეებს, ბიზნესს, ეკონომიკას, უფრო ხელშესახები შედეგი მოგვიტანოს ამ ხელშეკრულებით. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ ოკუპაციაზე, მადლობა გადავუხადეთ ევროკავშირს იმ წარმომადგენლობისთვის, იმ ფუნქციისთვის, რომელსაც ისინი ახორციელებენ საოკუპაციო მხარეს. აღვნიშნეთ, რომ ორივე მხარემ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მანდატი გავრცელდეს მთელ ტერიტორიაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეების საბაზისო უფლებების დაცვასა და მათივე უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ვისაუბრეთ ასევე ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელებაზე და შევთანხმდით, რომ ქვეყანაში დემოკრატიის საბაზისო, ძირითადი ფუნქციები, მათი ფასეულობები დაცული იქნება და კიდევ უფრო გაღრმავდება. ჩვენი მაღალი დონის შეხვედრები და კოოპერაცია, რაც დღეს გვაქვს, გაგრძელდება და კიდევ უფრო გაღრმავდება“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ჩვენი საშუალო განათლების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი

– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ევროპული სკოლის კომპლექსის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით განაცხადა.

„ბოლოს და ბოლოს, ეს ის ახალგაზრდები იქნებიან, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ სრულად დააკმაყოფილებენ როგორც განათლებით, ასევე ფასეულობებით ევროპულ სტანდარტს. ეს არის მაგალითი იმის, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობა გრძელდება, ღრმავდება და ჩვენ რეალურ, კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ წინ“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

„დღეს სასწავლო წელი დაიწყო და მინდა, მივულოცო თითოეულ სკოლის მოსწავლეს სწავლის დაწყება. ხაზგასმით მინდა, მივულოცო პირველკლასელებს. მინდა, ვუსურვო მათ წარმატებები, რომ სკოლის დასრულების შემდეგ ევროპული ფასეულობებით ისინი ემსახურონ ჩვენი ქვეყნის ევროპულ დიდ ოჯახში ერთად შრომას და განვითარებას“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ევროპული სკოლის კომპლექსის მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულა დღეს პრემიერ-მინისტრთან ერთად ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ ჩადეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ევროკავშირის სტანდარტების მქონე ევროპული სკოლა და 100 მოსწავლეზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი აშენდება. სკოლისთვის მიწის ნაკვეთი თბილისის მერიამ გამოყო.

ილია მეორემ საპატრიარქოში გიორგი გახარიას უმასპინძლა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პრემიერ-მინისტრს საპატრიარქოში უმასპინძლა. პატრიარქმა გიორგი გახარია დალოცა და მთავრობის მეთაურის თანამდებობის დაკავება მიულოცა. მანამდე ილია მეორემ გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავება წერილობითაც მიულოცა.

„დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური პროცესები არ დამცხრალა. ეს გასაგებიცაა, რადგან სხვადასხვა ძალა ცდილობს გავლენის მოპოვებას და თავისი იდეოლოგიის გატარებას; ხალხი კი ელოდება დადებით ცვლილებებს. სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა მოსახლეობის ყოფითი პრობლემების დაძლევა, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ეროვნული ფასეულობების წინ წამოწევა, ერის გამთლიანება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს მეტად რთულ დროში თქვენი და საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების დასაძლევად. უფალი შეგეწიოთ თქვენს ყველა ღვთისსათნო საქმეში“, – წერდა ილია მეორე წერილში.

ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს სჭირდება პასუხისმგებლიანი, სერიოზული კერძო ინვესტორები, რომლებიც სამწუხაროდ, არ გვყავს!

Გახარიას თქმით, არ არის კარგი, როდესაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, სტრატეგიული პროექტი ხდება პოლიტიკური ჭორაობისა და სპეკულირების საგანი.

„საერთოდ, ბევრ საოცარ რამეს ამბობს ხოლმე, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ბატონი ხაზარაძე. წერილი, ოქმი და კიდევ ბევრი რაღაც. მოიტანოს, გვანახოს ეს ოქმი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, არ არის კარგი, როდესაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, სტრატეგიული პროექტი ხდება პოლიტიკური ჭორაობის და სპეკულირების საგანი. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ანაკლია არ ეკუთვნის არც ერთ ფიზიკურ პირს. ანაკლია, როგორც პროექტი, ეკუთვნის ქვეყნის განვითარებას და ყველა ცოტა უფრო პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროექტებს“...

პრემიერ-მინისტრის თქმით, ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით სახელმწიფო ყველა თავის ვალდებულებას ასრულებდა და შეასრულებს.

სიტყვიერი დაპირისპირება პარლამენტში

პარლამენტში ევროინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, სადაც „ევროპული საქართველოს“ დადგენილების პროექტს განიხილავდნენ, სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ერთმანეთს სიტყვიერად გიგა ბოკერია და კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა დაუპირისპირდნენ.

გიგა ბოკერიამ ქაცარავას ჰკითხა, მხარს უჭერს თუ არა რუსეთისთვის სანქციების დაწესებას და მოუწოდა, რომ თავი არ აერიდებინა ამ კითხვაზე პასუხისგან, რაზეც სოფიო ქაცარავამ თქვა, რომ საქართველოს მთავრობა ოკუპაციის წინააღმდეგ ბევრს მუშაობს. **„ამაზე თქვენი კარნახი და ყიჟინა არ გვჭირდება. გავიგეთ თქვენი დესტრუქციული ამოცანა რაც არის“,** – მიმართა ქაცარავამ ბოკერიას.

კომიტეტის სხდომაზე მკვეთრი განცხადებები გააკეთეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დეპუტატებმაც.

მეოთხედი საუკუნე ბალტიისპირეთის სახელმწიფოსთან ერთად

საქართველოსა და ლიეტუვას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან გუშინ 25 წელი შესრულდა, – ინფორმაციას საქართველოში ლიეტუვის საელჩო ავრცელებს. მათივე ცნობით, ამ წლების განმავლობაში, ქვეყნების ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

„ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა ჩვენს ერებს შორის ურთიერთობებს რაც შეეხება – ტენდენცია მუდმივად და განუხრელად გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. დღეს მოვიაზრებით მოძმე ერებად, რომელთა შორის მეგობრობა და ურთიერთმხარდაჭერა სამაგალითოა და იმედიანად შევყურებთ მომავალს, გვაერთიანებს რა ჩვენი წარსული და საერთო ღირებულებები, რომელთა შორის უმთავრესიც თავისუფლებისაკენ სწრაფვაა“, – აღნიშნულია საქართველოში ლიეტუვის საელჩოს ინფორმაციაში.

იოჰანეს ჰანი: საქართველო უნდა იყოს ძლიერი და ერთიანი

ადმინისტრაციულ საზღვარზე სამხრეთ ოსეთთან წერტილები, რომელიც ბორდერიზაციისთვის აქტუალური ხდება, ჩვენთვის მიუღებელია, — ამის შესახებ ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან გამართული ერთობლივი განცხადებების დროს აღნიშნა.

როგორც ევროკომისარმა აღნიშნა, ევროკავშირი მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

„ეჭვებისა და რაიმე დამატებითი აზრების გარეშე, მიზანმიმართულ ხაზს ვინარჩუნებთ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში. ადმინისტრაციულ საზღვარზე სამხრეთ ოსეთთან ეს წერტილები, რომელიც ბორდერიზაციისთვის აქტუალური ხდება, ჩვენთვის მიუღებელია. კონსტრუქციული ჩართულობა, განსაკუთრებით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში, რუსეთის მონაწილეობით, არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი. საქართველო უნდა იყოს ძლიერი და ერთიანი. მიმდინარე გამოწვევების ფონზე, ეს საკითხები აქტუალურია. ხალხი, რომელიც ორივე მხარეს ცხოვრობს, ითვალისწინებს იმ ინიციატივებს, რომელიც თქვენ მიერ ხორციელდება საჯარო მომსახურების კუთხით, ეს ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. საბოლოო ჯამში, ხალხის ინტერესებშია, რომ ყველა ეს შესაძლებლობა არსებობდეს და ქმედითად იყოს გამოყენებული, რომ ჯანდაცვის სფეროში და სხვა საჯარო მომსახურების სფეროში მათ სარგებელი მიიღონ. მიმაჩნია, რომ თუ ვინმეს აქვს გარკვეული საჭიროებები, ამაზე ყველა უნდა დაფიქრდეს ხელისუფლებაში და იმედს ვიტოვებ, ეს მდგომარეობა გამოსწორდება უახლოეს მომავალში“, — განაცხადა ევროკომისარმა.

დასავლეთმა პასუხი უნდა აგებინოს რუსეთს საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული აგრესიისთვის!!!

ეს განცხადება ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმას რეინსალუმ ესტონურ მედიასთან ინტერვიუში გააკეთა. ურმას რეინსალუმ იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირი არ იტყვის უარს რუსეთის მიმართ მოქმედი სანქციების პოლიტიკის გაგრძელებაზე.

„ახლა დასავლეთის ლოგიკას თუ შევხედავთ, არსებობს მესამე შეცდომის დაშვების საფრთხე. საქართველოს შემთხვევაში უმოქმედობამ რუსეთი გაათამამა, კლანჭები გამოაჩინა ჯერ ყირიმში, შემდეგ ლუგანსკში, დონეცკში. თუ არ იქნება საკმარისად მტკიცე პასუხი და რუსეთს ეს მძიმედ არ დაუჯდება, მაშინ ეს გაუხსნის გზას მოსკოვს მესამე ინტერვენციისკენ. ეს შეიძლება მოხდეს დედამიწის ნებისმიერ წერტილში“, — განაცხადა ესტონელმა დიპლომატმა.

ოქრუაშვილს ომში არ უბრძოლია და ახლა მოვიდა იშტაზე?

მისი თხოვნით მინდა ვთქვა, რომ განწყობილია საბრძოლველად, — ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ელენე ხოშტარიამ ე.წ. მატროსოვის ციხიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა, სადაც 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული ირაკლი ოქრუაშვილი მოინახულა.

„ყველას კარგად უნდა ესმოდეს, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს, რომ ყოველი დღე პოლიტპატიმრების ციხეში ყოფნის, არა მხოლოდ თავად ირაკლი ოქრუაშვილის, არამედ ყველა იმ ადამიანის, ვინც გავრილოვის ღამეს დაიჭირეს, ძვირად დაუჯდება ამ ხელისუფლებას. ეს არის ის პოსტსაბჭოთა მეთოდები, რომელიც არ მთავრდება ხელისუფლების სასარგებლოდ. უსამართლობა ყოველთვის საბოლოო ჯამში ურტყამს უკან ისევ ხელისუფლებას. აბსოლუტურად ცხადია, რომ ყველა ადამიანი, ვინც დღეს ციხეშია, 17 ადამიანი, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების მძევლები არიან, რომელმაც არათუ არ დასაჯა, ვინც ჩაიდინა უკანონობა და ძალადობა, დააწინაურა ისინი და უბრალოდ ადამიანები აიყვანა მძევლებად“, — განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

ნატოს სიკეთეები სამხედრო და ეკონომიკურ ჭრილში

საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ხშირად კატეგორიული ტონით საუბრობენ ნატო-საქართველოს ურთიერთობაზე და უმთავრესად რუსული ნარატივის მიხედვით, ცდილობენ, მოსახლეობა უარგუმენტოდ უარყოფითად განაწყონ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი. რეალურად კი ნატო, არა მხოლოდ სამხედრო უსაფრთხოება, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უდიდესი შესაძლებლობაა, რაც ასე აშინებს ჩვენს მეზობელ, არაკეთილმოსურნე სახელმწიფოს.

რეალურად, როგორია ნატოს სიკეთეები ეკონომიკურ ჭრილში? ამის თაობაზე მასალა „კომერსანტმა“ დაახლოებით ერთი წლის წინ გამოაქვეყნა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მკითხველს კიდევ ერთხელ გავაცნობთ ნატოს სიკეთეებს ლატვიის მაგალითზე.

„რუსის ჯარი ბალტიიდან ზუსტად იმ დღეებში გადიოდა, როდესაც ადმირალ ბალტინის ჯარი დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მხსნელად შემოდიოდა საქართველოში — ქართველების ქართველებისგან გადასარჩენად. ამ დღეებში იყო, ბალტიურმა ქვეყნებმა რომ გაგვასწრეს. ბოლოჯერ მოისმინეს „პროშჩანია სლავიანკი“ და სრულიად ახალი სახელმწიფოების შენებას შეუდგნენ.

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა და უკვე ღირს ნახვად, რა გამოუვიდათ ესტონელებს, ლატვიელებსა და ლიეტუველებს, რომლებსაც საქართველოს მსგავსად რუსის ჯარმა ბაზები სავალალო მდგომარეობაში გადასცა,“ — ამბობს შესავალში თენგიზ გოგოტიშვილი და სიუჟეტში ლატვიის არმიის ერთ-ერთ მთავარ ბაზაზე, კერძოდ სატანკო პოლკზე საუბრობს, რომელიც რიგიდან 30 კილომეტრში, ქალაქ ადაჟიშია განთავსებული.

„ამ ბაზის გასაფართოებლად ლატვიის ბიუჯეტიდან ახლა 100 მილიონი ევროა გამოყოფილი. გადაწყვეტილება იქამდე მიიღეს, სანამ ნატო მრავალეროვან საბრძოლო ჯგუფის გამოგზავნის გადაწყვეტილებას მიიღებდა. მაგრამ ამ ჯარების ჩამოსვლამ ყველაფერი დააჩქარა.“ — საუბრობს ლატვიის სახელმწიფო ძალების სარდალი ილმარს ლეჯინსი.

აღმოსავლეთ ფლანგის გასაჭირი ნატომ 2016 წელს აღიარა და 2017-ში დამატებითი ძალები განათავსა პოლონეთსა და სამ ბალტიურ სახელმწიფოში. ლატვიაში 1150-კაციანი შენაერთი გამოგზავნეს. ლიდერი ქვეყანა კანადაა.

იხ. 8 გვ.

გია ვოლსკი: ანაკლიის პორტით სპეკულირება არის საზოგადოების, ამომრჩევლის გარკვეული ნაწილის მოზიდვაზე გათვლილი

საზოგადოების დიდ ნაწილს გვეჩვენება, რომ ანაკლიის პორტით სპეკულირება არის საზოგადოების, ამომრჩევლის გარკვეული, მნიშვნელოვანი ნაწილის მოზიდვაზე გათვლილი, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ თავმჯდომარე, „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელ მამუკა ხაზარაძის განცხადებაზე პასუხისას აღნიშნა.

როგორც ხაზარაძემ ერთ-ერთი მედიასაშუალების პირდაპირ ეთერში განაცხადა, ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა უარი უთხრა ბრიტანელ ინვესტორებს ანაკლიის პორტის მშენებლობის დაფინანსებაზე და რომ ხელისუფლებას არ სურს, ამ პროექტის განხორციელება.

„მე კონკრეტულად ამ ბრალდებაზე პასუხს ვერ გავცემ. ამაზე ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა გასცეს პასუხი და ზუსტად თქვას, რაშია საქმე, რამდენად რეალურია ეს ბრალდებები, მაგრამ პრინციპში არა მარტო მე, საზოგადოების დიდ ნაწილს გვეჩვენება, რომ ანაკლიის პორტით სპეკულირება არის საზოგადოების, ამომრჩევლის გარკვეული მნიშვნელოვანი ნაწილის მოზიდვაზე გათვლილი. ვინაიდან ამბობს, რომ გამარჯვების შემთხვევაში გავაკეთებ ისეთ პროექტს, რომელიც იქნება ქვეყნისთვის ესოდენ მისაღები და კარგი. არაერთხელ იყო განცხადება სამინისტროების, მათ შორის ეკონომიკის სამინისტროსგან, ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან და არალოგიკური, არარეალისტურია, რომ კეთილი ინვესტორი, მით უმეტეს მძლავრი ინვესტორი, ესე ხელაღებით და ხელაქნევით არის მოშორებული თავიდან. ეს ინვესტორი აუცილებლად გააკეთებდა თავის განცხადებას“, — განაცხადა ვოლსკიმ.

როგორც ვოლსკი ამბობს, მამუკა ხაზარაძე წინასაარჩევნო განცხადებებს აკეთებს. მისივე თქმით, ანაკლიის პორტი არის საქართველოს მთავრობის პროექტი და არა მამუკა ხაზარაძის.

„პატრიოტთა ალიანსის“ აქცია მავნებლურია!

აშშ არის ჩვენი მთავარი პარტნიორი და არანაირად არ არის დაკავშირებული კრამერის თუ ფორუმში მონაწილე სხვათა საქციელზე, ან განცხადებებზე, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ აშშ-ის საელჩოსთან გამართულ აქციაზე საუბრისას განაცხადა.

„მე ვფიქრობ, რომ ეს აქციაც გამიზნულია და გარკვეულ პოლიტიკურ მიზანზეა ორიენტირებული. თავისი შინაარსით არის მავნებლური, ვინაიდან არ შეიძლება, ვინმე კრამერის აბსოლუტურად შეუსაბამო საქციელი დაუკავშირდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამის მინიშნება აშკარად იგრძნობოდა „პატრიოტთა ალიანსის“ აქციაზე.

ეს კაცი სულ დაბოლილი როგორ უნდა იყოს?!

პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ ლიდერი ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოში სასწავლო პროცესის დაწყებას ეხმიანება და სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს.

„ვუსამძიმრებ პირველკლასელების აბსოლუტურ უმრავლესობას მრავალწლიან ციხეში მოხვედრის გამო. თქვენ გელით საკუთარი მშობლების და ბებია-ბაბუას მიერ შექმნილი ჯოჯოხეთის გავლა, სადაც, დაგამცირებენ — მოგექცევიან როგორც მონებს.

— დაგაზეპირებინებენ სრულიად გამოუსადეგარ ზღვა ინფორმაციას;

— არ მოგცემენ განვითარების შესაძლებლობას იმ მიმართულებებით, რომლებიც გაინტერესებთ გასწავლიან ფარისევლობას;

— დაგაკარგვინებენ აზროვნების უნარს;

— შეგაზიზღებენ სწავლას და ფიქრს;

— შეგაზიზღებენ დილით გაღვიძებას;

— საბოლოო ჯამში გაგწირავენ წარუმატებლობისთვის და სიღარიბისთვის;

და ამ ყველაფერს თავად თქვენი მშობლები და ბებია-ბაბუა დააფინანსებენ. ბოდიში რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით თქვენი დახსნა“, — წერს ჯაფარიძე.

იქნებ შესაბამისმა უწყებებმა იფიქრონ ამ ნარკომანი პოლიტიკოსის დესტრუქციული მოწოდებების შესახებ და როდესაც საღ აზრზე იქნება, პასუხი აგებინონ — „გირჩის“ ლიდერმა თავისი ანტიკონსტიტუციური მოწოდებებით ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა!

„რაც მაგრეზი ვართ“...

ვითარცა ჯოჯოხეთის მუგუზალი...

ხაზარაძე საკუთარ პარტიაში ნიკა გვარამიას და კუპონას – რომან გოცირიძეს ეპატიჟება

ღია წერილი აწ უკვე, პოლიტიკოს მამუკა ხაზარაძეს და მასთან გათანაბრებულ პირებს

პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ამ დოღში, რასაც ქართული პოლიტიკა ჰქვია, თქვენს შემჩნევას არ ვაპირებდი, პირადად ჩემთვის ყველაზე ღირებული სიტყვა – ღირსება რომ არ დაგცდენოდათ, რასაც მთელი შეგნებული ცხოვრება დავფუთფუთებ და ვცდილობ, გაბითურებისგან ვიხსნა, რათა მავანთა მიერ ისევე არ გაცვდეს, როგორც „გმირი“, „სამშობლო“ და სხვა მრავალი. ამ წერილის დაწერაც სწორედ ამ დამოკიდებულებამ გადამაწყვეტინა.

ალბათ, იკითხავთ, მე რა შუაში ვარო?! მე კი, გიპასუხებთ – თქვენ მართლა რა შუაში ხართ?! რა თქმა უნდა, თქვენს პირად ღირსებას არ შევეხები, რადგან მიმაჩნია, რომ ეს თემა ხელშეუხებელია და მისი შელახვა ღირსებას არავის მატებს, მაგრამ თქვენ თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ თქვენი მხრიდან ამ საზოგადოების წინაშე დგომა და ღირსებაზე ხაზგასმა მინიმუმ, უხერხულია? იმ საზოგადოებასთან, რომელსაც წლების განმავლობაში ულახავდნენ ღირსებას, პატივს ჰყრიდნენ (სხვათა შორის, თქვენთან ერთად) და მიუხედავად იმისა, რომ ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, გამარჯვების მოპოვების კონტურებიც კი არ ჩანდა, ღირსების შესანარჩუნებლად სრულიად შიშველი ხელებით იბრძოდა. ეს მაშინ იყო, როცა თქვენ და ბიზნესელიტის სრული უმრავლესობა კონფორმიზმის შესანარჩუნებლად, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უხერხულად, საეჭვოდ დუმდით.

სწორედ ამ მიზეზით, თქვენთვის იოტისოდენა უხერხულობაც კი არასოდეს შეუქმნია დამუნჯებულ მედიას, ნოტარიუსის კანტორებად ქცეულ სასამართლოს, სახელმწიფოს სახელით ათასგზის დარეკეტებულ ბიზნესს, განსაკუთრებით, ბიზნესმენთა მიმართ ღირსებისა და პატივის შემლახავ მოპყრობას და ა.შ...

სულ მიკვირდა, რა ძალა აიძულებდა ადამიანებს მდუმარე პოზაში ყოფნას მაშინ, როცა დანარჩენები, საზოგადოების წინააღმდეგ მომართულ ამხელა სახელმწიფო მანქანას სრულიად შიშველი ხელებით, სიცოცხლის ფასად ვეწინააღმდეგებოდით. ამაზე ბევრი მიფიქრია და მიანალიზებია ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზები, რას შეეძლო, ადამიანის ამ მდგომარეობამდე მიყვანა. საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ძალადობასთან ალავერდს გადადიოდა, ბუნებრივია, არც არასოდეს გასჩენია პროტესტის გრძნობა, მაგრამ მეორე, არცთუ ისე მცირე ნაწილის იძულებითი დუმილის მთავარი მიზეზი შიში იყო და ადამიანები სწორედ ამიტომ დუმდნენ. იცით, რის ფასად?! ღირსებისა და პატივის შელახვის ფასად. ანუ, იმის ფასად, რაც ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასია. ის, ვინც დღეს თავს იწონებს, რომ არ ეშინოდა, უბრალოდ, ცრუობს, რადგან შიში ბუნებრივი რეაქციაა ობიექტურად იდენტიფიცირებულ გარეგან საფრთხეზე. მით უფრო, მაშინ, როცა დუმილის დარღვევის ფასი შესაძლოა, ყველა ის სიკეთე იყოს, რაც გაგაჩნია და მეტიც, თვით სიცოცხლე, მაგრამ ამ ბუნებრივი მდგომარეობის დაძლევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ღირსება სიცოცხლეზე მეტი გიღირს.

ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ საზოგადოებასთან ამ ენით ლაპარაკი მინიმუმ, უხერხულობას რატომ არ გიქმნით?! ნუთუ, მართლა გჯერათ, რომ მათ შორის, ყველაზე გულუბრყვილო ადამიანი მაინც დაიჯერებს, რომ მართლა ის მიზნები გამოძრავებთ, რაზეც პრეზენტაციაზე ისაუბრეთ?!

იმ საყოველთაო სიკეთეებს, რასაც საზოგადოებას ჰპირდებით, ღირსეული წარსულის მქონე, გაბედული ადამიანები ქმნიან და არა ისინი, ვინც პირადი ინტერესების შელახვით გახურებულ გულს, სხვისი სიცოცხლის ფასად მოპოვებული თავისუფლების სიოთი იგრილებს.

შექმნილი სურათის განსაკუთრებული გროტესკულობა იმაში მდგომარეობს, რომ იმ მზა სუფრაზე, რომელსაც მოხერხებულად მიუსხედით, დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება და სხვა ათასი სიკეთე ისევე ოხრადაა, როგორც ქართულ სუფრაზე – მადისაღმძვრელი პურმარილი, ხოლო თქვენ, თავს ისე გრძნობთ, როგორც მასპინძელი, საზოგადოებას კი, ვინც ეს სიკეთეები მოიტანა, ისევ მომსახურე პერსონალად მოიაზრებთ. დღევანდელი თქვენი პათეტიკით გაჯერებული გამოსვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ სუფრის მომსახურე პერსონალისთვის წინსაფრის თარგის აღება.

ერთი რამით, ნამდვილად შემიძლია, დაგაიმედოთ. ქართულ პოლიტიკურ დოღში ჭენებას აუცილებლად მოახერხებთ. ისე, რომ უნაგირიც არ დაგჭირდებათ. არც დიდი ძალისხმევა. ნულპროცენტიანი ბარიერის და გახურებული კამპანიის პირობებში, თქვენი პარტიაც შეასრულებს ჯოჯოხეთის მუგუზლის ფუნქციას, მაგრამ მანამდე კარგად იყავით, სანამ ლელო არ დადოთ. ლელო ჩვენი თამაშია, ქართველი საზოგადოების გუნდური, ღირსეული თამაში, ქართული საბრძოლო ხელოვნება, რომელსაც თავისი ხასიათი აქვს, ისტორია და მსოფლმხედველობრივ ზნეობრივ დოქტრინას მოიცავს.

დაგინდობთ და, საკრალური დრამატული სიმბოლოებით გამოწვეულ ასოციაციებზე არ შევჩერდები, რომელიც გულსაკლავად გროტესკული იყო, მაგრამ თქვენი პრეისტორიის გათვალისწინებით, არ გამკვირვებია.

ქართველი საზოგადოება დიდი ხანია, იაფფასიან დრამას უყურებს, მაგრამ მხოლოდ იძულებით. ამაში ფულს არავინ არ იძლევა და სხვა რამეს – მით უფრო. პარაზიტების შემოტევას კი ისევ თანდაყოლილი, ორგანული ბრძოლისუნარიანობით იგერიებს. ღირსება რომ აქვს მთავარ მდგენელად – იმით და გირჩევთ, წარმატების მისაღწევად დროის შესაბამისი ფორმულა გამოიყენოთ!..

მაკა დარსაველიძე,
for.ge

„შეხვედრა წარსულთან“...

მეორდება თუ არა ისტორია?!

ძვეყანაში მიმდინარე პროცესები აჩვენებს, რომ ჯიუტად არ გვინდა ან არ შეგვიძლია წარსულის გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანა და რომ ცნობილი გამოთქმა – „ისტორია ორჯერ მეორდება, პირველად როგორც ტრაგედია და მეორედ როგორც ფარსი“ – ზუსტადაც რომ ჩვენ ქვეყანას ეხება. პარლამენტის წინ მიმდინარე პერმანენტული აქციებს, ლოზუნგით „ერთად ერთის წინააღმდეგ,“ და ე.წ. „პროდასავლური პოლიტიკური ძალების“ მოწოდებას გაერთიანებაზე „ყველა მინუს ერთის“ პრინციპით, „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, თითქოს 1990 წლებში გადავყავართ. მაშინაც ოპოზიცია ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას უპირისპირდებოდა პრინციპით „ყველა მინუს ერთი.“ მაშინ ამ პრინციპზე აგებულმა დაპირისპირებამ, ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, რომლის უმძიმესი შედეგები დღემდე მძიმე დაღად აზის ქვეყანას და საზოგადოებას.

ისევე, როგორც 1990 წელს „ეროვნულ კონგრესში“ გაერთიანებული პარტიები, რომლებიც შემდგომ სამხედრო პუტჩის აქტიური მონაწილეები გახდნენ, საკუთარ თავს გამსახურდიას „ავტორიტარულ რეჟიმთან“ მებრძოლ დემოკრატიულ ძალებად ასაღებდნენ, 2019 წელს ე.წ. „პროდასავლური“ ძალები, რომელთა ბირთვს „ნაცმოძრაობა“ და მისი განაყოფები წარმოადგენენ, ცდილობენ, დაარწმუნონ საზოგადოება და დასავლეთის წრეები, რომ ივანიშვილმა სახელმწიფო მიიტაცა, ქვეყანა რუსეთისკენ მიდის და სწორედ ისინი არიან ის ძალა, ვინც ქვეყანას ევროპისკენ დააბრუნებს.

დღეს მათთვის მთავარია, რომ გაერთიანებას, რაც შეიძლება წარმომადგენლობითი სახე ჰქონდეს, იმისათვის, რომ ამ კომპონენტის გარეშე დასავლეთიდან მხარდაჭერის მიღება გაჭირდება. ეს მხარდაჭერა კი, რომ იტყვიან, ჰაერივით სჭირდებათ. სწორედ ამიტომაც აგორდა ამ ბოლო პერიოდში ინტენსიური საინფორმაციო და პიარ-კამპანია, „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის პრორუსულ ძალებად წარმოსაჩენად. შემთხვევითი არ იყო, რომ ახლახან თბილისში გამართულ წარმომადგენლობით საერთაშორისო კონფერენციაზე „Now What“ („ახლა რა“), ერთ-ერთ სესიას სახელად „სახელმწიფოს მიტაცება“ ერქვა და ეს აშკარად იყო ივანიშვილზე გადაკრული მათრახი. რა თქმა უნდა, ეს კამპანია ადგილობრივი მოსახლეობის ტვინების გამოსარეცხადაც არის მიმართული.

1990 წელს საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირება და გაღრმავება რუსეთის ინტერესებში შედიოდა და მაშინდელი ოპოზიცია, ნებით თუ უნებლიეთ, მას მაქსიმალურად დაეხმარა ამ ინტერესის რეალიზებაში. 2019 წელს რუსეთს კიდევ უფრო მეტად სურს საქართველოში ახალი სამოქალაქო ჯახის პროვოცირება და პროცესების ანტიკონსტიტუციურ კალაპოტში გადაყვანა იმისათვის, რომ საქართველო ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზას კიდევ უფრო მეტად ჩამოაშოროს. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, მის უნებლიე მოკავშირედ სწორედ „ნაციონალების“ ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ის „პროდასავლური ძალები“ გამოდიან, რომლებიც სულ უფრო ხშირად საუბრობენ ხელისუფლების დაუფლების რევოლუციურ სცენარზე. ეს კი პირდაპირი გზაა სამოქალაქო დაპირისპირებისკენ აქედან გამომდინარე შედეგებით.

საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე ცოტა მეტი დარჩა. „ნაცმოძრაობის“ ფრთის ქვეშ შეკრებილი ე.წ. „პროდასავლური ოპოზიციის“ ქმედებები კი, ჯერჯერობით, არ იძლევა იმის მყარ იმედს, რომ არჩევნებამდე ქვეყანა მშვიდ და სტაბილურ გარემოში მივა. სიტყვით აცხადებენ, რომ მხოლოდ არჩევნების გზით აპირებენ ხელისუფლების შეცვლას, თუკი, რა თქმა უნდა, გამოუვიდათ, საქმით კი საპირისპიროსთვის ემზადებიან. როგორც ჩანს, „გავრილოვის ინციდენტმა“ და მის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, გარკვეული იმედები ჩაუსახათ. ყველანაირად ცდილობენ, შეინარჩუნონ საპროტესტო მუხტი რუსთაველზე და განავრცონ რეგიონებში. უკვე დაწყებულია ახალგაზრდული ჯგუფების გაწვრთნა და მობილიზაცია დაგეგმილი საპროტესტო აქციებისათვის.

გამოდის, რომ წარსულისგან ვერც ვერაფერი დავივიწყეთ და ვერც ვერაფერი ვისწავლეთ. წარსულთან მორიგი შეხვედრა კი შესაძლოა, ძალიან მძიმე აღმოჩნდეს.

ზაალ ანჯაფარიძე.

ერის სიამაყე

სამი წელი გავიდა მის შემდეგ, რაც გარდაიცვალა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი მოქანდაკე, უდიდესი ხელოვანი, დიდი მამულიშვილი და მრწყინვალე პიროვნება, ქართველ მიქელანჯელოდ წოდებული დიდი **მერაბ ბერძენიშვილი.**

მერაბ ბერძენიშვილი იყო სწორუპოვარი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი. თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

1975 წელს მერაბ ბერძენიშვილს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია, 1978 წელს – საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება, 1984 წელს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის წოდება. 1995 წელს დიდგორის სკულპტურულ-არქიტექტურული მემორიალის შექმნისათვის, არქიტექტორ თამაზ გაგუნიასთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. 1983 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, 2001 წელს კი – ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის ფ. ნანსენის სამახსოვრო მედალი. 2002 წელს საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა მერაბ ბერძენიშვილს მიანიჭა ჯილდო XX საუკუნის მიღწევებისთვის.

1990 წლიდან იყო საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო შემდგომში აკადემიის საპატიო წევრი, 1996 წლიდან – რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1994-2016 წლებში საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე.

მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ხელწერა შექმნა. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის ყველასათვის ცნობილი „მუზა“ ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკში შექმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან, „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ადგილას განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი, კასპში გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში, ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედეა“, სოჭში „ადამი და ევა“, მარნეულში აღიმართა კომპოზიცია „კიდევაც დაიზრდებიან“, გურჯაანში დაიდგა მემორიალური კომპლექსი „ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში ომში გამარჯვების მემორიალი. მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტიში დაიდგა კომპოზიცია „საქართველო, ავსტრიაში ჰერმან კმაინერის ქანდაკება, ლაოსის მეფის სისავან ვონგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი ქალაქ პრაბანგში.

მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მოწყობილია საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიასა და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში.

ბატონი მერაბი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მიენიჭა ნობელის პრემიის ლაურეატის მედალი, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით „ღირსეულს“, „ღირსების დიპლომით“ და ვერცხლის მედლით ოცდამეერთე საუკუნის ჯილდო მიღწევებისთვის ქანდაკების სფეროში, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია.

განსაკუთრებით მძიმეა ბატონი მერაბის არყოფნა ჩვენთვის, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმისა და თანამშრომლებისთვის, იგი ხომ სიცოცხლის ბოლომდე, ოცი წლის განმავლობაში იყო ამ ფონდის თავმჯდომარე და სულისჩამდგმელი. კულტურის ფონდი ახორციელებდა როგორც საქველმოქმედო, ისე აღმშენებლობით საქმიანობას. მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით აშენდა კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, სადაც ბატონი მერაბის დიდი ძალისხმევით 2016 წლის მაისის თვეში ჩატარდა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქანდაკების არსი თანამედროვე სამყაროში“,სადაც მოწვეული იყვნენ 14 ქვეყნის მხატვრები და მოქანდაკეები. ისინი გაეცნენ ამ მიმართულებით საქართველოს მიღწევებს, განსაკუთრებით აღფრთოვანდნენ ბატონი მერაბის შემოქმედების სიდიადით და მრავალფეროვნებით.

ბატონი მერაბის სახით საქართველომ დაკარგა არა მარტო როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ადამიანი. მისი სახელი სამარადისოდ შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

მერაბ ბერძენიშვილი 2016 წლის 17 სექტემბერს 87 წლისა გარდაიცვალა. დაკრძალულია საკუთარი სახლ-მუზეუმის ეზოში.

სამშობლოს წინაშე ყველანაირად ვალმოხდილს და როგორც პოეტი იტყოდა, საქართველოს ხელოვნების სახელის მთელ დედამიწის ზურგზე „გამტყორცნელს“, გულგრილმა ადამიანებმა არაერთი დარდი გააყოლეს უკვდავებაში გადასულს...

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, აკადემიკოსი.

დავით გურამიშვილი

...ერთხელ, როდესაც გურამიშვილის ძეგლზე ვმუშაობდი, გამაფრთხილეს, დიდად პატივცემული სიმონ ჩიქოვანი მოდისო ძეგლის სანახავად, მე ძალიან ავღელდი, რადგან დავით გურამიშვილის სულს თუ ვინმე ჩასწვდა – ეს იყო სიმონ ჩიქოვანი. გურამიშვილის ბობოქარ ცხოვრებაში სიმონ ჩიქოვანმა უმთავრესად მიიჩნია მისი გოდება სამშობლოსადმი:

„წეროს დარად წიგნში მდგარი
ლოცულობ და მოსთქვამ კიდეც...“

და აი, ჩემთან მოდის პოეტი, რომელმაც მთელი არსებით, სიყვარულითა და ღრმა განცდით უმღერა დავით გურამიშვილს. ბუნებრივია, ავღელდებოდი. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ სიმონ ჩიქოვანს მე ვთვლიდი გურამიშვილის ტკივილების თანაზიარ პოეტად, რომელმაც ასე ძლიერად განასახიერა სიტყვაში გურამიშვილი. ვფიქრობდი – რას იტყოდა იგი ქანდაკების წინაშე, რომლის სპეციფიკა, რომლის ენა სულ სხვა საშუალებებით გამოხატავს აზრს...

მე ვღელავდი და ვფიქრობდი – ის იდგა მდუმარედ... სიჩუმე საუკუნედ მეჩვენა და შემდეგ ჩემს სახელოსნოში გაისმა დაბალი ხმა:

„სანთელივით ცად აწვდილო
დავით,
შენ გოდებდი ასტრახანში ღამით...“

უზომო სიხარული დამეუფლა, უზომოდ გავიხარე, ამაზე მეტი აღიარება ჩემთვის აღარ არსებობდა.

მერაბ ბერძენიშვილი

გიორგი სააკაძე

შოთა რუსთაველი

სიცოცხლისა და სიკეთის ნიჭი

ფიქრი, რომელიც დაბადა ოთარ გაგუას წიგნმა



მე და ბატონ ოთარ გაგუას ერთი და ორი დღე არ გვაკავშირებს და ვალდებული ვარ, ეს ამთავითვე ვთქვა, რამეთუ ამგვარი ახლობლობა „გამოხატვის თავისუფლებას“ ჩაკირკიტებულმა რომელიმე მოლაყბემ, რომელთა სიმცირეს, სამწუხაროდ, არ განვიცდით, სათავისოდ არ გამოიყენოს და, კამათის ეშხში შესულმა არ გვიკიჟინოს ნეპოტიზმი, რომელსაც ჩვენში ოდითგან ნათელმირონობას ეძახდნენ.

ამას რატომ ვუსვამ ხაზს, მოგახსენებთ.

თბილისის 1500 წლისთავის საიუბილეო დღეების წინ, იანვარში, ძველით ახალი წლის მეორე დღეს, რომელსაც ჩვენში ოდითგან ბედობის დღედ უხმობენ, თბილისს სიკეთედ დაებედა საქართველოში პირველი საღამოს გაზეთის პირველი ნომერი. ამ დღეს ჩვენ ერთად მივედით „თბილისში“ და მას შემდეგ 21 წელიწადი ერთად ვასრულებდით ჟურნალისტის იმ ქანცგამწყვეტ და მრავალი უმადურისგან დაუფასებელ სამუშაოს, რომელსაც ჩვენმა საერთო კოლეგამ და მეგობარმა გიზო ნიშნიანიძემ კატორღული უწოდა, ხოლო გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებსა და მდინარე კოლიმას ოქროს საბადოებში კატორღაგამოვლილმა რედაქციის სტილისტმა მიხეილ მამულაშვილმა, რომელიც სულ რაღაც ორი თვის დბრუნებული იყო საქართველოში, საბჭოურ გამყინვარების ზონაში კატორღულ შრომას მიანიჭა უპირატესობა: „ჩიტო. კოლიმაში შრომით რეჟიმს ასე თუ ისე მაინც იცავდნენ, თანაც, თუ შემთხვევით თვითნაბად ოქროს ზოდს წავაწყდებოდით, პრემიასაც გვაძლევდნენ, აქ კი დღე და ღამე გასწორებული გვაქვს, მაგრამ ბრილიანტებითაც რომ ავავსოთ გაზეთი, დამფასებელი და მადლობის მთქმელი არავინააო“. და მაინც გაზეთი „თბილისი“ ჩვენთვის სულ სხვა იყო თუნდაც იმიტომ, რომ არც „ლენინის გზით“ ერქვა, და არც „წინ, კომუნიზმისკენ!“ ჟურნალისტთა ძირითადი ბირთვიც სხვა ჰყავდა – ახალგაზრდობა, რომელსაც აქ მოსვლამდე სწავლის განგრძობა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე 1956 წლის 9 მარტის შემდეგ იმ განწყობით მოუწია, რომ ვეღარაფერი დაავიწყებდა ვორონცოვის ხიდზე, იმ დროს მარქსის ხიდს რომ უწოდებდნენ, მომიტინგეებში როგორ შეიჭრა ტანკი, როგორ გაანგრია მოაჯირი და როგორ გადაყარა გასრესილი ახალგაზრდები მტკვარში.

* * *

ბატონი ოთარი „თბილისელ“ ახალგაზრდა ჟურნალისტთა შორის ყველაზე ასაკოვანი იყო, თითქმის 8-9 წლით უფროსი, თანაც ჩვენთან მოსვლამდე საკმაოდ პრესტიჟულ თანამდებობაზე გახლდათ ნამუშევარი – საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ცნობილი მედიკოსი მეცნიერის თანაშემწედ და, ფაქტობრივად, მასთან ერთად მთელი კავკასია ჰქონდა მოვლილი, ამიტომ ძალზე ახლოს იცნობდა თავისი ენდოკრინოლოგი შეფის იმ პაციენტებს, პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების თვალსაჩინო უბნებს რომ ხელმძღვანელობდნენ, თუმცა ეს ნაცნობობა სათავისოდ არასდროს გამოუყენებია.

ხასიათი ისეთი ჰქონდა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, ბატონ ალბერტ თავხელიძესთან და მის ძმასთან – ნოშრევანთანაც მეგობრობდა და სატვირთო მანქანის იმ მძღოლთანაც, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და პირადი პატიოსნებით რომ გამოირჩეოდა. რედაქციაში კი ახალბედა ჟურნალისტებთან ყოფნას და მასლაათს ამჯობინებდა ხოლმე და ჩვენც ვცდილობდით, რაც შეიძლება ახლო ვყოფილიყავით მასთან, რათა მიგვეღო კაცობის ის გაკვეთილები, რომლითაც თბილისის გამორჩეულ უბანში – სოლოლაკში დაბადებული და უბნის კოლორიტის მაგალითებით აღზრდილი სხვებისგან ფრიად განსხვავდებოდა. ამითაც აიხსნება, რომ ჩვენთვის საამაყო თავკაცს გროსპაპა შევარქვით და მართლაც გროსპაპობდა. თამადობდა უმცროსი კოლეგების ლხინის სუფრებს, მათ შორის ჩემს ქორწილს, რომელიც მშობლებმა და ცოლოურმა ქუთაისში გადამიხადეს და ბატონი ოთარი რედაქციის თანამშრომელთა და ჩემი უახლოესი მეგობრების დიდ ჯგუფთან ერთად მეწვია.

ამის თაობაზე გამოწვლილვით იმიტომ მოგახსენებთ, რომ არაფერია დაფარული, რომ არ გამჟღავნდეს და ჩვენს ახლობლობაზე ყურადღებას საგანგებოდ რომ ვამახვილებ, ამით ვცდილობ, ამ სტრიქონების მკითხველი, ვიდრე ბატონ ოთარ გაგუას წიგნის ჩემეულ შეფასებას გაეცნობა, თავად დარწმუნდეს, რომ წიგნის განხილვისას მეგობრობის ხათრით საუბარი არაფერ შუაშია. პირიქით! მეგობრობა ხელს გვიწყობს, გულწრფელად ვთქვათ სათქმელი და ამით ვუერთგულოთ ერთი საზომის, ერთი საწყაოს იმ პრინციპულად სავალდებულო მოთხოვნას, რომლის აუცილებლობას ჩვენმა გროსპაპამ გაზეთში ერთობლივი მოღვაწეობისას ერთხელ და სამუდამოდ შეგვაჩვია..

* * *

„ალბათ, გახსოვთ ერთი ქართული ფილმის პერსონაჟი, საუკუნეს მიტანებული კაცი, როგორც კი მსმენელს დაიგულებს, მაშინვე ძველი ამბების გახსენებას იწყებს: „ოსმალეთში რომ ვიყავიო!“ – ვკითხულობ მწვანე კონცხიდან ელექტრონული ფოსტით მოწოდებული წიგნის შესავალში, რომელიც ყოველგვარი წინაპირობის დაუთქმელად ოთარ გაგუამ დასაჭაშნიკებლად გამომიგზავნა.

მისი ამ მოქმედების ასახსნელად კითხვას განვაგრძობ და პასუხს მალევე ვაგნებ. მეც ზუსტად იგივე მემართება, რაც ზემოხსენებული ფილმის გმირსა და წიგნის ავტორს. ახალ ამონარიდს შემოგთავაზებთ და თავად განსაჯეთ. „წარსულისაკენ გაუხედავად (ჩემს შეთხვევაში გაზეთ „თბილისისკენ“ გაუხედავად), როგორ გინდა დღევანდელობაზე ისაუბრო და შეაფასო?“

1964 წელია, 17 ოქტომბერი. დაუვიწყარი დღე, როდესაც თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ამ დღეს წინ უძღვის რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ძალზე მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი და სასიხარულო ოპერატიული ინფორმაცია ყველასთვის, ვისაც ვერ გადაგვავიწყეს სისხლიანი 9 მარტი: „კრემლის ყრილობათა სასახლესთან ქვეყნის ხელმძღვანელთა მანქანების დიდი შეჯგუფებაა. ვარაუდობენ, რომ თანამდებობიდან გადაყენებულია ხრუშჩოვი!“

ამბობდნენ, რომ ამ ძალზე მომცრო ინფორმაციაში მოსკოვში აკრედიტებულ ამერიკელ ჟურნალისტს ჰონორარად ერთი მილიონი დოლარი გადაუხადეს, მაგრამ მე და ჩემს თანატოლებს მილიონიც გვეცოტავებოდა, რამეთუ საუბარი იყო ქართველმოძულე ჯალათზე, რომელმაც 9 მარტის საშინელება არ გვაკმარა, და სამშობლოდან დედაწულიანად გადასახლებას გვიპირებდა. ამიტომ მოსკოვის „ტორპედოსთან“ დინამოელთა იმდღევანდელ შეხვედრას სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა.

ამ დღეს მორიგე რედაქტორი ვარ და მევალება, ზუსტად დავიცვა გაზეთის ბეჭდვის გრაფიკი, შუადღის 4 საათზე დავიწყო ბეჭდვა, რათა საღამოს გაზეთი დროულად მიიღოს მკითხველმა. არადა, პირველი ბურთი ტორპედოელებმა გაიტანეს და გაზეთის მთავარი რედაქტორი, ბატონი ნიკოლოზ ჯაში ვეღარ ისვენებს, „თბილისის“ რედაქციიდან, რომელიც მეორე სართულზეა, წამდაუწუმ ამორბის მესამე სართულზე, სტამბაში და მე და გაზეთის დამკაბადონებელს დურმიშხან გეგუჩაძეს გვაჩქარებს: „რას უცდით, ხომ ხედავთ ფორტუნამ ამჯერადაც გვიმტყუნა, მოუჭირეთ ქანჩებს და გადაიტანეთ ანაწყობი გვერდი დასამატრიცებელ წნეხზე!

დურმიშხანი უკვე ხმის ამოუღებლად შეუდგა რკინის ჩარჩოში დაკაბადონებული ოთხგვერდიანი გაზეთის უკანასკნელი მეოთხე გვერდის დასამატრიცებლად წნეხზე გადატანის სამზადისს და ძალზე მძიმე ტვირთის დასადებად რკინის ურიკაც მოაგორა. ვუყურებ და სიმწრისგან ტანში გამცრა: რა ვუთხრა, თვალი როგორ გავუსწორო გროსპაპას, რომელმაც ამ დილით, „ტუ-104“-ით ტაშკენტში გადაფრენის წინ საგანგებოდ მითხრა, ჩემსავით შენც ხომ დარწმუნებული ხარ, რომ დღეს აუცილებლად გავიმარჯვებთ. ჰოდა, მატჩის დასრულებამდე ბეჭდვა როგორმე შეაყოვნეო. ამასთან, დღევანდელი დამკაბადონებლის მიერ საგანგებოდ ამ დღისთვის გაწმენდილ-გასუფთავებული და საიდუმლოდ გადანახული გვერდიც ჩამაბარა: სამად სამი სტრიქონია

ოთარ გაგუამ დიდი დრო მოანდომა იმის სიღრმისეულ კვლევას, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღი ქართველი სპეციალისტის იასონ გორდეზიანის დაარსებულია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დღესაც ცოცხალივით „ესაუბრება“ მის ძანდაკებას, რომელიც სკულპტორ ირაკლი ტუვაძის ხელთქმნილია

„იცით, რა ხდებოდა წუხელ, შუაღამისას აეროდრომზე, ვიდრე ტაშკენტიდან ჩვენი ოქრობიჭები ჩამოფრინდებოდნენ? ხალხი პავლე ასლანიდის „ვეჩორკას“ ცეცხლს უკიდებდა, რომ დინამოელთა გამარჯვებისადი მიძღვნილი ჩვენი გაზეთი წაეკითხა!

ვიცოდით, როგორ არ ვიცოდით, საკუთარი თვალით გვქონდა ნანახი, მაგრამ არ შევპასუხებივართ!

იმ დღეს მე შრომის წიგნაკში შეტანილი მადლობითა და ერთი თვის ხელფასით დამაჯილდოვეს, ბატონი ოთარი კი ფაქტობრივად არაფრით, რამეთუ მისთვის ჩვეულ სიკეთეს ისევე მალავდა სხვათა ზურგს უკან ამოფარებული, როგორც ტაშკენტიდან დაბრუნებული „ტუ-104“-იდან ტრაპით ჩამოსვლისას თავის სახეს იმ დინამოელთა ზურგს უკან, რომლებისთვისაც თითქოს არაფერი გაუკეთებია იმით, რომ თავადაც ყოფილი ფეხბურთელი არა მარტო ტაშკენტში ჩაფრინდა, არამედ იმ გასახდელშიც ჩავიდა, სადაც დამატებითი დროის დაწყების წინ ოქრობიჭებს სულიერი გამხნევება და გამარჯვების რწმენის განმტკიცება ესაჭიროებოდა!

* * *

„კუპარაჩას ღირსეული თანამესაგრე შეემატა!“ – ასეთი იყო ჩემი უპირველესი დასკვნა, როცა კომპიუტერში ოთარ გაგუას წიგნს გავეცანი. და კიდევ ერთი, თანაც არანაკლებ არსებითი მეორე დასკვნა: ეს არის სიკეთით გამორჩეული კოლორიტული პიროვნების წიგნი სიცოცხლისა და სიკეთის მსახურ კოლორიტულ პიროვნებაზე.

რამ განაპირობა წიგნის ავტორის არჩევანი?

ამ კითხვის პასუხი უზუსტესად არის ჩამოყალიბებული ავტორისეულ წინათქმაში: „არ შეიძლება ბათუმზე, მის კოლორიტებზე ისაუბრო და მისი კოლორიტები დავით ასამბაძე, მემედ ბედია, ალექსანდრე მგელაძე, პლატონ გიგინეიშვილი, რამაზ სურმანიძე არ ახსენო. მაგრამ ვიდრე თბილისელი კაცი ასეთ თამამ განცხადებას გავაკეთებდი და ზემოთ მოხსენიებულ გვარ-სახელებს საჯაროდ გამოვიტანდი, ჩემს ბათუმელ ნაცნობ-მეგობრებს ვთხოვე, დავეკვალიანებინე. დასახელებულთა შორის ჩემი ყურადღება ერთ-ერთმა მიიპყრო და, აი, რატომ: თავადაც მოგეხსენებათ, მავანი შეიძლება გამოჩენილი მეცნიერი, ხელოვანი, საზოგადო მოღვაწე, წარმატებული სპორტსმენი, მწერალი იყოს, მაგრამ ეს საკმარისი როდია, კოლორიტად მოიხსენიებოდე, რადგან ამის მოსაპოვებლად მთელი ცხოვრება გჭირდება. საკმარისია, ერთხელ მაინც წაიფორხილო, რომ მისი ტარების უფლება ჩამოგერთვას“.

არ წაუფორხილებია, კუბოს კარამდე ერთგულებდა იმ მრავლისმეტყველ შეფასებას, მისთვის საჩუქრად გადაცემულ წიგნს გასული საუკუნის 30-იან წლებში რომ წააწერა აკადემიკოსმა ნიკო მარმა და რადგან ხალხის ხსოვნას სიცოცხლისა და სიკეთის მსახურად შერჩა, თხზულებას, რომელიც მის ხსოვნას მიეძღვნა, ავტორმა სათაურად ამიტომ შეურჩია „სიცოცხლისა და სიკეთის მსახური“,

„თაობა მიდის, თაობა მოდის, დედამიწა კი უცვლელია მარადიულად!“ – ასე ბრძანებდა იერუშალაიმის უბრძნესი მეფე კოჰელეთი, რომელიც ივრითულიდან ქართულად დიდებულად აამეტყველა ჩემმა და ოთარ გაგუას საერთო მეგობარმა და კოლეგამ, ქალბატონმა თამარ მამისთვალოვმა – ისრაელში ასვლამდე აფხაზეთში საქართველოს სახელწიფო რადიომაუწყებლობის პუნქტის ხელმძღვანელმა. ამ უაღრესად საინტერესო გამონათქვამთან ერთად სწორედ იმავე კოჰელეთმა ბრძანა; „კარგი სახელი სჯობს კარგ ნელსაცხებელს და სიკვდილის დღე დაბადების დღეს“,

სიბრძნის, ზნეობრიობის და გონივრული ნათქვამის უზუსტესად გამზომი ეს საწყაო განსკუთრებული მნიშვნელობისაა დავით (დაუთა) ასაბაძის შვილისა და შვილიშვილისთვის, რომლებმაც ცხოვრების მიზნად სიცოცხლისა და სიკეთის გზა ირჩიეს.

* * *

დაუთა ასამბაძისადმი მიძღვნილი თხზულება ფორმითაც ფრიად ორიგინალურია. იგი იმგვარი ნოველების ერთობლიობაა, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენენ ჭეშარიტად სახალხო მილიციელის სიკეთის ნიჭსა და სულიერ სიმაღლეს. ნოველებს აგვირგვინებს „შეგონებანი“, რომელსაც შვილმა მამის გარდაცვალების შემდეგ მიაგნო.

„შვილო ზებურ! – „მიმართავს მამა, – თუ ჩემი საქმიანობის გაგრძელება გსურს, ხელს ვერ შეგიშლი. შენი ასაკის კაცს, ეტყობა, ამაზე ბევრი გაქვს ნაფიქრი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ქვეყნისთვის მეტად რთულ, სახიფათო, მეტად საშურ და საჭირო საქმეს ჰკიდებ ხელს...

უნდა ეცადო, შენი დასკვნა ყოველთვის ობიექტური და მართალი იყოს. პატიმრობის შემდეგ თავისუფლებაზე გამოსულ ადამიანთან შეხვედრა და ხელის ჩამორთმევა არ უნდა შეგრცხვეს.

ზებურ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან უნდა იყო მართალი!“

* * *

ამ ფრიად საინტერესო წიგნზე საუბარს იმ პარალელზე ხაზგასმით დავასრულებ, სადაც წარსული წლევანდელ 20-21 ივნისის მოვლენებს უკავშირდება, „მე იმ დახეიბრებული პოლიციელის მამა ვარ, რომელიც თავის თანატოლ, თანაც მეგობარ აქციის მონაწილესთან ერთად საავადმყოფოში მოხვდა. ახლა ვეკითხები ყველას, განსაკუთრებით დაზარალებული გოგო-ბიჭების მშობლებს: არ გიფიქრიათ, ფიცის ერთგულება და პოლიციელთა თავდადება რომ არა, რა აუნაზღაურებელი მსხვერპლი მოჰყვებოდა ამას?“ – წერს დაზარალებული პოლიციელის მამა.

ეს კითხვა თითოეული იმ მშობლისგან ითხოვს დუყოვნებელ პასუხს, რომლებსაც დღემდე ახსოვთ 1992 წლის სისხლიანი 6 იანვარი, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ და ის დამპალი „ვარდები“, რომლებიც წლეულს, 20-21 ივნისის გზაშესაყარზე, უკვე ორჯერ გამოყენებული სცენარით სურდათ ქვეყნისთვის თავზე მოეხვიათ ბუნტარების მიერ ხელოვნურად შეფერადებულ „რევოლუციურ იდეათა“ უნიჭო პლაგიატებს. ასე რომ, წარსულზე საუბრით ამჯერადაც საინტერესო სადღეისო საფიქრალს ბევრს აჩენს წიგნის ავტორი, თავისი გმირივით გამორჩეულად კოლორიტული ფიგურა, რომელიც საკუთარი შვილების, სამშობლოს თავისუფლებას თავშეწირული ორი ანგეშივით ვაჟკაცის მსგავსად, ბოლომდე იხარჯება სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ალექსანდრე შენგელია

ვულოცავთ! თვალსაჩინო მეცნიერი

ქართული გეოფიზიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერს, რადიოფიზიკის აკადემიურ დოქტორს **დავით ზილფიმიანს** 60 წელი შეუსრულდა.

დ. ზილფიმიანი უკვე სტუდენტობის წლებში (1979) იწყებს სამეცნიერო მუშაობას ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტარების ლაბორატორიაში და ამავე დროს მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც მან განვლო გზა ინჟინრიდან სეისმური სამსახურის უფროსის თანამდებობამდე. მან 1985 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ელექტრომაგნიტური პროცესები მიწისძვრების მომზადების პროცესში“. ამ ნაშრომში მან დაადგინა ელექტროდინამიკური ეფექტების როლი მიწისძვრის მექანიზმის დადგენაში და მის პროგნოზირებაში. მიღებული შედეგების გამო დ.ზილფიმიანი 1992-1993 წლებში მიწვეული იყო ტოკიოს უნივერსიტეტის „JISTECAWARD“ მოგის ლაბორატორიაში მეცნიერ-მუშაკად. 1994-2006 წლებში იგი მუშაობდა რომის უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორად, ხოლო 2000-2003 წლებში — იტალიის კოსმოსური სააგენტოს პროექტ „Esperia“ მთავარ მეცნიერ-მუშაკად და სისტემურ ინჟინრად.

დ. ზილფიმიანი, აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძესთან ერთად, არის საქართველოს კოსმოსური კვლევის სააგენტოს დამფუძნებელი, სადაც იგი 2003-2005 წლებში მუშაობდა ამ სააგენტოს დირექტორის მოადგილედ.

დ.ზილფიმიანის ინტერესების სფეროში შედიოდა აგრეთვე ელექტრონიკა და სენსორული ხელსაწყოები, რა მიმართულებითაც მას მიღებული აქვს საერთაშორისო პატენტი. ელექტრონიკაში მიღებული შედეგების გამო 2003 წლიდან იგი მიწვეული იყო იტალიის კოსმოსურ სააგენტოში საერთაშორისო ორბიტალური სადგურის (ISS) პროექტირებისათვის (პროექტი LAZIO-SIRAD).

2004-2008 წლებში იგი იყო ევროპის კოსმოსური სააგენტოს პროექტ „EGLE“-ს თანაავტორი. 2001-2013 წლებში იგი მიწვეული იყო „NASA“-ს „გოდარდის“ ფრენის ცენტრში (მერილენდი, აშშ) პროფ. პატრიკ ტეილორთან ახალი დაბალი ორბიტის სატელიტის პროექტზე სამუშაოდ.

2014 წლიდან დ. ზილფიმიანი არის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებული კოსმოსური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი. ამავე წლიდან იგი არის საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის (კერძო მულტიპლექს ოპერატორ „სტერეო“-ს) პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი.

დ.ზილფიმიანი არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და არაერთი საერთაშორისო პროექტის მონაწილე. იგი სრულყოფილად ფლობს რამდენიმე უცხო ენას.

გულითადად ვულოცავთ დავით ზილფიმიანს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და მომავალ მეცნიერულ წარმატებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება; თსუ-ს მ. ნოდიას სახელოვნის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

„დეილი მეილი“: საქართველო საიდუმლო მარგალიტია

„საქართველო საიდუმლო მარგალიტია“, — ამ სათაურით სტატიას „დეილი მეილი“ აქვეყნებს. ავტორის თქმით, ერთ დროს საბჭოთა კავშირის წევრი საქართველო, დღეს „მშვიდი და მომხიბვლელი ადგილია ისტორიის მოყვარულთათვის“.

„ჯონ სტეინბეკი ამბობს, რომ საქართველოში მას აჯობეს ჭამაში, დალევაში, სიმღერასა და ცეკვაში. 1948 წელს ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად ვიზიტის დროს, სტეინბეკმა თქვა, რომ ქართველებს გაუტეხელი სული აქვთ. საქართველოს რთული ისტორია აქვს და ქართველების სულს გამოცდა არაერთხელ მოუწყვეს რუსებმა, თურქებმა, მონღოლებმა და სპარსელებმა“, — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობები პრობლემებით იყო აღსავსე. **„საქართველოში პრეზიდენტი პუტინი არ მოსწონთ, თუმცა კონფლიქტი 2008 წლის შემდეგ აღარ ყოფილა“,** — აცხადებს სტატიის ავტორი.

მისივე თქმით, ახლა საქართველოს მემარჯვენე ცენტრისტული „ქართული ოცნება“ მართავს და ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების იმედი აქვს.

„სტუმართმოყვარეობა საქართველოს სავიზიტო ბარათია — რუსეთსა და თურქეთს შორის მოქცეული ქვეყნის მცხოვრებლები ცდილობენ, დაგათვალიერებინონ ისტორიული ადგილები, რომელიც საქართველოში უამრავია და ასევე, მოახდინონ თქვენზე კარგი და თბილი შთაბეჭდილება. ტაქსის მძღოლმა შეიძლება საერთოდ უარი თქვას ანაზღაურებაზე, ხოლო კაფეში მეზობელ მაგიდაზე შეიძლება უცებ სიმღერა წამოიწყონ“, — წერს „დეილი მეილი“.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ქართული სამზარეულო „განუმეორებელია“. **„თქვენი ჭიქა ყოველთვის სავსე იქნება სახლში დაწურული ღვინით ან ჭაჭით“, — ნათქვამია სტატიაში.**

პუბლიკაციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა წინანდლის სასახლის აღწერას.

„ბოლშევიკებს არასდროს მოსწონდათ მდიდრული სასახლეები, მთავრები ან პოეზია, ამიტომ საოცრებაა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის წინანდლის სასახლე, რომელიც ღვინის რეგიონში, კახეთში მდებარეობს, დღემდე შემორჩა. ქართული რომანტიზმის ფუძემდებელ ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ 1835 წელს აღდგენილ სასახლეში ახლა მუზეუმია განვითარებული, ხოლო ვენახში, სადაც 11 ძირძველი ჯიშის ყურძენი მოდის, 150 000 ბოთლ ღვინოს ასხამენ“, — წერს „დეილი მეილი“.

„დეილი მეილი“, ასევე ურჩევს მოგზაურებს, აუცილებლად მოინახულონ სტეფანწმინდა, ჯუთას ველი და ესტუმრონ ქუთაისს.

!TV

ნიკოტინით მონაბლულთა რაოდენობით მსოფლიოში ვერავინ შეგვედრება!

იანვრიდან თუთუნი აქციზით დაიბეგრება და ერთბაშად გაძვირდება

თითქმის **გადაწყვეტილია, რომ იანვრიდან თუთუნი გაძვირდება. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა კანონში ცვლილებები განიხილა და მწვანე შუქი აუნთო. მომავალი წლიდან თუთუნი აქციზით დაიბეგრება და მწეველებსაც იაფი პროდუქტი გაუძვირდება.**

ეს ერთადერთი ცვლილება არ არის. საქმე ისაა, რომ ახალი წლიდან უფილტრო სიგარეტზეც გაიზრდება ადვალური გადასახადი 10%-დან 30%-მდე და ის ფილტრიან სიგარეტის განაკვეთს გაუტოლდება. ეს ნიშნავს, რომ თითქმის ყველა სახეობის სიგარეტის ფასი გათანაბრდება და ამავე დროს გაძვირდება კიდეც.

დღეს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით 500 გრამზე მეტი მოცულობით დაჭრილი თამბაქოს იმპორტი აქციზურ დაბეგვრას არ ექვემდებარება. მას შემდეგ, რაც „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა და ფილტრიან და უფილტრო თამბაქოზე აქციზის განაკვეთი გაიზარდა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ლაშა ხუციშვილი** ამბობს, რომ ქვეყანაში თამბაქოს შემოტანა სწორედ 500 გრამზე მეტი მოცულობით, ანუ თუთუნის სახით ხდება, რაც ახლა ნულოვან დაბეგვრას ექვემდებარება.

„პრობლემაა სწორედ ის, რომ კანონმდებლობაში არსებობდა და დღესაც არსებობს უცვლელი ნორმა, რომ გადასახადი თამბაქოსთან მიმართებაში იყო მიბმული შეფუთვის სახეობაზე, კერძოდ — რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე, ე.წ. გასახვევი თამბაქოს იმპორტი შემოდის დაუბეგრავად, ანუ აქციზის გადასახადის გარეშე. კანონმდებლობაში 10 წელზე მეტია ასეთი ნორმა არის ჩარჩენილი, რომ 500 გრამზე მეტი მოცულობით თუ შემოდის თამბაქო, მისი განაკვეთი არის ნულოვანი.

წინა ცვლილებების შემდგომ საბაჟოზე იმპორტი შემოდიოდა სწორედ ასეთი შეფუთვით და მისი დაბეგვრა არ ხერხდება. შესაბამისად, ამან რამდენიმე ათეული მილიონით დანაკლისი გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტში“, — განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ხუციშვილმა.

მას შემდეგ, რაც თამბაქოზე აქციზი და ადვალური გადასახადი ერთმანეთის მიყოლებით გაიზარდა, თამბაქოს მომხმარებლების დიდმა ნაწილმა თუთუნის შეძენა დაიწყო ფასთა მნიშვნელოვანი სხვაობის გამო. ცვლილებები სწორედ ამ ფაქტორით არის განპირობებული.

საქართველოს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, **აკაკი ზოიძე** მიიჩნევს, რომ თამბაქოსთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზია. მისი თქმით, უფილტრო და ფილტრიან სიგარეტზე ფასის გაზრდის შემდეგ მოქალაქეებმა სიგარეტის მოხმარების შემცირების ნაცვლად იაფი პროდუქტის, დაფასოებული თამბაქოს ყიდვა დაიწყეს.

იგი ჯერ კიდევ გაზაფხულზე აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო თუთუნის გაძვირებაც:

„ეს არის შემდეგი ნაბიჯი, რაც უნდა გაკეთდეს. წელს გაძვირდება, თუ მომავალ წელს, მაგაზე არ არის საუბარი. იაფი და ხელმისაწვდომი თამბაქო არ უნდა იყოს. ფასის ზრდა მიმართული იყო იმისკენ, რომ ადამიანებმა ან ნაკლები მოწიონ, ან თავი დაანებონ“, — აღნიშნავდა ზოიძე, რომლის აზრითაც თამბაქოს მოხმარების შემცირების ერთადერთი გზა ფასის ზრდაა. დეპუტატის აზრით, თამბაქოს მოხმარების თავის დანებების შემდეგ მოქალაქეები კმაყოფილებიც კი იქნებიან.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის დამფუძნებელი **გიორგი ბახტურიძე** კი ამბობს, რომ ადამიანების ჯანმრთელობასთან პირდაპირ კავშირშია თამბაქოს მოხმარება და იგი არ უნდა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი:

„თუთუნი სარისკო პროდუქტად რჩება. აქამდე არსებულ რეგულაციებსაც არავინ იყენებდა, რამაც ცუდ შედეგამდე მიგვიყვანა. ყველა ფეხის ნაბიჯზე იყიდება თუთუნი და ეს სერიზული პრობლემაა, თუმცა გადაუწყვეტელი არ არის. უნდა გამკაცრდეს და ყურადღება მიექცეს ამ რეგულაციებს“.

ბექა დანელია

ნატოს სიკეთეები სამხედრო და ეკონომიკურ ჭრილში

(მესამე გვერდიდან)

„მარტივად გეტყვით – ჩვენი ჩამოსვლით ლატვია უკეთ არის დაცული. უბრალო მათემატიკაა. ადაჟიში ნატომ დაამატა ქვეითები, ჯავშანჯგუფები, ინჟინრები, ლოგისტიკა და ყველაფერი სხვა, რაც მრავალეროვან ძალებსა და ამ ტერიტორიის დაცვას სჭირდება,“ – აცხადებს ლატვიაში ნატოს მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფის სარდალი შონ ფრენჩი.

მრავალეროვანი ძალების ბაზირება ნატოსთვისაც ახალი ხილია. უცებ აღმოაჩინა, რომ გარდა საჭურვლისა და ტექნიკისა, სამხედროებს სრულიად სამოქალაქო ინფრასტრუქტურაც სჭირდებათ.

„თითქოს შემაწუხებელი უნდა იყოს ბაზის მეზობლობა. სულ ხმაურია. მაგრამ ლატვიური არმიისა და ჩვენი მოკავშირეების აქ ყოფნას ადგილობრივ ბიუჯეტში ძალიან დიდი ფული შემოაქვს. მათ სრული ინფრასტრუქტურა სჭირდებათ – მაღაზიები, ბარები, რესტორნები, დასვენების სფეროს სხვა ობიექტები... დისკოთეკებიც კი – ისინი ხომ ახალგაზრდები არიან. მივხვდით, რომ ბევრი რამ, პირველ რიგში კი, საცხოვრებელი, კატასტროფულად გვაკლია. თუნდაც მოკავშირეთა ოფიცრების სამყოფი. არც საერთაშორისო სკოლა ან ბაღი გვაქვს მათი შვილებისთვის. რომ გვქონდეს, ოჯახებითაც ჩამოვიდოდნენ. ნებისმიერი ბინის გაქირავების ან გაყიდვის განცხადება ინტერნეტში ერთ დღეზე მეტს ვერ ძლებს, იტაცებენ. სამშენებლო ბაზარი მოთხოვნას ვერ ეწევა და ახლა ქართველი მშენებლებიც კი გამოჩნდნენ, იმდენად გვაკლია მუშახელი,“ – აღნიშნავს ბიზნესმენი, რიგის ყოფილი მერი გუნდარს ბოიარსი.

რიგის ყოფილი მერი ადაჟიში უზარმაზარ პოტენციალს ხედავს და ყველას არწმუნებს, რომ ფულის დასაბანდებლად საუკეთესო დროა. იმავე დასკვნამდე სხვაც ბევრი მივიდა.

„სამხედრო ბაზა მხოლოდ პლიუსია. იქ მსახურობენ და ცხოვრობენ ადამიანები საკმაოდ მაღალი შემოსავლით. მით უმეტეს, ნატოელ პარტნიორთა დამატების შემდეგ. მათ ყველა სექტორის მომსახურება სჭირდებათ. მაღაზიები, პიცერიები, ქარხნებიც კი – ამ ბაზამ ბიძგი ყველაფერს მისცა.“ – აცხადებს ადაჟის ბიზნესმენთა საზოგადოების თავმჯდომარე ულდის შტებელისი.

ევროპელები საკითხს ევროპულად მიუდგნენ. ქალაქის განვითარება თუ გინდა, ბავშვებით უნდა დაიწყო. ადაჟის სკოლა ლატვიაში ერთ-ერთი უდიდესია. 1410 ბავშვზეა გათვლილი, მაგრამ უკვე ვეღარ აუდის მსურველებს. მისგან 500 მეტრში მაისის დასაწყისში მიწა გაჭრეს და ისევ სკოლის მშენებლობას შეუდგნენ.

„20 პროცენტს ევროკავშირი იხდის. დანარჩენი ჩვენი თანხაა. აქ 800 ბავშვი ისწავლის, პირველიდან მეოთხე კლასამდე. უფროსები კი დარჩებიან არსებულ სკოლაში. ახლა 6-7 პარალელური კლასის გახსნა გვიწევს ხოლმე. მოსახლეობა ყოველ წელს 5 პროცენტით გვეზრდება. განვითარების ტემპითაც ქვეყანაში პირველ ადგილზე ვართ. რამდენიმე ფაქტორი გვეხმარება. ერთია სამხედრო ბაზა. მეორეა სიახლოვე დედაქალაქთან. ადამიანები ახლა ეძებენ ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელს დიდ ქალაქებთან ახლოს, სადაც ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. ადაჟიში ეს უკვე გვაქვს. დილით შეგიძლია გაუშვა ბავშვი სკოლაში და მთელი დღე აღარ ინერვიულო მის უსაფრთხოებასა და გადაადგილებაზე. სკოლის შემდეგ თავად მივა სპორტზეც, ხელოვნებაზეც, ბიბლიოთეკაშიც. ყველაფერი ერთმანეთის გვერდითაა და თავის ტკივილი გეხსნება,“ – ეს ადაჟის მერი მარის სპრინჯუსკის პოზიციაა.

სპორტული სექციებისა და ხელოვნების წრეების დიდ ნაწილს თავად მერია ინახავს. ინახავს ბიბლიოთეკასაც, რომელშიც ბავშვები ზოგჯერ წიგნებისთვის, ზოგჯერ ვიდეოთამაშებისთვის მიდიან. წელს ახალი წიგნების შესაძენად ორჯერ მეტი ფულია გამოყოფილი, ვიდრე შარშან.

ნელ-ნელა ბიბლიოთეკასაც და ნებისმიერ სხვასაც მოუწევს ახალ ჩამოსულთა გემოვნებას მორგება. ნატოს სამხედროებს თუ ცოლები და შვილები ჩამოყვნენ, აქაურობა მეტად შეიცვლება. 9000-კაციან ქალაქს 1150 უცხოელი კვალს ნამდვილად დაამჩნევს. ოღონდ ამ უცხოელებს აქ გახსნილი გონებით ხვდებიან და, თუ რამეს ელიან, მხოლოდ სიკეთეს.

„მსოფლიო გამოცდილებით, სადაც კი მსგავსი ბაზა განთავსდა, ეკონომიკა სწრაფად ვითარდება. ძალიან დიდი ფული შემოდის ევროკავშირის ხაზითაც. სათანადო პროექტებს რომ მეტს ვთავაზობდეთ, უფრო მეტს დააფინანსებდნენ. გინდ მრეწველობაში, გინდაც სოციალურ სფეროში, თუნდაც კერძო საბავშვო ბაღების გასახსნელად“ – აღნიშნავს გუნდარს ბოიარსი.

ნატოელ მოკავშირეებს დიდი მატერიალური სიკეთეც მოსდევთ, თუ ათვისებას შეძლებ. ბაზის გარეთ რომ საკმარისი კაფე და ბარი იყოს, ლუდს ბაზაზე დროებითი სასადილოს კარავში აღარ დალევდნენ. გართობითაც სხვაგან და სხვანაირად გაერთობოდნენ. საკუთარი ასაკის შესაბამისად, რომელიც, წოდებრივ და ეროვნულ განსხვავებებს არ აღიარებს.

როგორც თენგო გოგოტიშვილი გვიყვება, ადაჟის ბაზაზე ახლახან ორი ქარხანა გაიხსნა. ერთი – ხორცის გადამამუშავებელი, მეორე – ლითონის საწარმო. ორივეს იმედი აქვს, რომ სამხედრო შეკვეთებს მიიღებს. ესე იგი, დროული გადახდისა და დასაქმების ძალიან ხანგრძლივი გარანტიის პერსპექტივით.

ულდის შტებელისი ადაჟის ბიზნესმენთა საზოგადოების თავმჯომარე - **„ადაჟი რომ სწრაფად ვითარდება, ბოლო წლების სწორი დაგეგმვის შედეგია. ნებისმიერმა ბიზნესმენმა, რომელიც აქ ფულის ჩადებას იფიქრებს, იცის, რას და რა ვადაში უნდა ელოდოს. შეცდომისა და ინვესტიციის დაკარგვის შანსი მინიმალურია. ახლა სასწრაფოდ გვჭირდება 5-6 საცხოვრებელი კორპუსი და 70-მდე კერძო სახლი. მოთხოვნა ძალიან დიდია.“**

როდესაც წვრთნები არ არის, ქალაქში გაცილებით მეტი სამხედროა. ნატოელთა შემოსვლის შემდეგ ამ პატარა ქალაქში მანქანების გაქირავების კომპანიებიც კი გაჩნდნენ. უცხოელები, განსაკუთრებით კი კანადელები, შაბათ-კვირას დიდი სიამოვნებით უვლიან ევროპას.

„წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ერთი დამატებითი ბატალიონი ამდენად მნიშვნელოვანი არ არის. თუმცა მათ შეგვმატეს შეიარაღება და აღჭურვილობა, რომელიც ლატვიურ არმიას არა აქვს. პოლონელებმა, მაგალითად, სატანკო ასეული დაგვიმატეს. მთავარი კი, რისთვისაც მოკავშირეები არიან აქ, ნატოს ერთიანობის ხაზგასმაა,“ – ამბობს ლატვიის სახელმწიფო ძალების სარდალი ილმარს ლეჯინსი.

ნატოელები საკუთარ ქვეყანაშიც ასე აკეთებენ. მაგრამ ახლა, რადგან მაინც უცხო მიწაზე არიან, ორმაგად ცდილობენ – ხან „ღია დღე“ მოაწყვეს ბაზაზე, ხან სკოლას ამოუყვანეს და შეუღებეს ღობე, ხან ძაღლების თავშესაფარი ააშენეს.

„ადგილობრივებისგან უმთავრესად სიტყვა „მადლობა“ გვესმის. იციან, რისთვის ვართ აქ, იციან, რომ შორს ოჯახები დავტოვეთ და ჩამოვედით. იციან, რომ ნატო ძალიან ეფექტური ალიანსია და აქ დავრჩებით, სანამ ვითარება და მეზობლების (რუსეთის) ქცევა არ შეიცვლება,“ – აცხადებს შონ ფრენჩი, ლატვიაში ნატოს მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფის სარდალი.

„პუტინის სამყარო“, საქართველო და ბალანსის აუცილებლობა

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ვაშინგტონის ფილიალში გამართულ შეხვედრაზე, პროფესორი ანჯელა სტენტი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ევრაზიის, რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის სწავლებათა ცენტრის დირექტორი, დამსწრეებს თავის ახალ წიგნზე – „პუტინის სამყარო“ – ესაუბრა. წიგნი რუსეთის ბოლო 20 წლის ლიდერის აღზევებას, დასავლეთთან დაპირისპირების დინამიკას, მსოფლიო არენაზე დამკვიდრების მეთოდებს და შესაძლო მიზნებს აანალიზებს.

„არ ვიცი, აქვს თუ არა მას გენერალური გეგმა, მაგრამ პუტინის სურვილია, დარწმუნდეს იმაში, რომ რუსეთის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო გადაწყვეტილება არ მიიღონ... მასთან კონსულტაციები გაიარონ, ანგარიში გაუწიონ და დანარჩენმა სამყარომ აღიაროს, რომ რუსეთი დიდი ძალაუფლების მქონე ქვეყანაა“ – ამბობს პროფესორი სტენტი.

კრემლის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი, დასავლეთთან და ახლო სამეზობლოში წარმოებულ ე.წ. ჰიბრიდულ ომებში, ყოველთვის იყო დეზინფორმაცია. რუსეთი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ის სოციალურ მედიაშიც წარმატებით დანერგა.

ბოლო ანგარიშების მიხედვით, რუსული დეზინფორმაციის სამიზნე სულ ცოტა, 24 ქვეყანა გახდა. პრინსტონის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს მოსკოვი განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა მაგალითად იმაზე, რომ უკრაინაში და ბელარუსში შემცირებულიყო როგორც დასავლური პოლიტიკის მხარდამჭერთა რიცხვი, ასევე – მთავრობის პოპულარობა.

„ფაქტია, რუსული პროპაგანდა სხვადასხვა მეთოდს იყენებს. სიცრუის და ნახევრად სიმართლის გავრცელების გარდა, ზოგჯერ მათ ტყუილის მოფიქრებაც არ სჭირდებათ. სიმართლეზე აქცენტი ისე კეთდება, რომ ხალხში მთავრობის ნდობა შესუსტდეს...

ორიოდე წლის წინ საქართველოში ვიყავი და მახსოვს, იქ ვსაუბრობდით იმაზე, თუ როგორ გაუჩნდა ხალხს ახალი, უკეთესი მომავლის იმედი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ... სწორედ ამაზე ამახვილებს დღეს რუსეთი ყურადღებას. მას სურს, რომ დააფიქროს ხალხი: ესაა ის, რასაც ველოდი? სად არის დაპირებული სამუშაო ადგილები? სადაა უკეთესი ცხოვრება? ეს ძალიან, ძალიან ეფექტური მეთოდია, სწორედ იმიტომ, რომ აპელირება სიმართლეზე ხდება“ – ამბობს ჯილ დოერთი, მკვლევარი უილსონის ცენტრიდან. ის 30 წლის მანძილზე ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“ ჟურნალისტი იყო და 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომს აშუქებდა.

საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის თემამ შეხვედრაზე არაერთხელ წამოიწია. იმ ფონზე, როცა რუსეთს საქართველოს 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს და ქვეყანა ამით ძლიერ დასუსტებულია, პროფესორ სტენტის აზრით, ახლა რუსეთის მთავარი მიზანია, დაარწმუნოს საქართველო, რომ დასავლეთი მის მიმართ ინტერესს თანდათან კარგავს. მოსკოვი ცდილობს, აიძულოს თბილისი, მეტი პატივი სცეს რუსეთის ინტერესებს.

პროფესორ სტენტის თქმით, **„საქართველო და მსგავსი ქვეყნები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან, დამოუკიდებლობა მაქსიმალურად შეინარჩუნონ, გააღრმავონ თანამშრომლობა დასავლეთთან, ევროკავშირთან, ნატოსთან. თუმცა, არსებობს ლიმიტები, თუ რას იზამს, რის გაკეთება შეუძლია დასავლეთს არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის სამეზობლოში მყოფ ნებისმიერ ქვეყანაში, უკრაინის ჩათვლით...**

ამასთან, რუსეთთანაც საჭიროა ისეთი ურთიერთობის შენარჩუნება, რომელიც მოსკოვის პროვოცირებას არ გამოიწვევს, რომ იმაზე მეტი არ ქნას, რაც უკვე ჩაიდინა. ეს არ არის იოლი პოზიცია საქართველოსთვის, მაგრამ ბალანსის დაცვა, ჩემი აზრით, კიდევ დიდხანს იქნება საჭირო“.

ანჯელა სტენტის აზრით, დასავლეთი მაშინ შეცდა, როცა ჩათვალა, რომ პრობლემა მხოლოდ კომუნისტურ პარტიაში იყო და საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ის ამოიწურა. შესაბამისად, პუტინის აღზევების პერიოდში, არ არსებობდა რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგია, მაშინ როცა პუტინს, ჯერ კიდევ 2 ათეული წლის წინ ხელისუფლებაში მოსვლისას, აშკარად გააჩნდა გეგმა, რომლის განხორციელებასაც ის თანმიმდევრულად შეუდგა.

დღეს, მოსკოვის ღია, თუ ფარული აგრესიის პირისპირ, ისევ მთელი დასავლეთია. თუმცა, ანალიტიკოსების თქმით, რუსეთი ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით, ძალიან სუსტია იმისთვის, რომ დასავლეთს რეალური ზიანი მოუტანოს.

მაია ქვარცხავა

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი №1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია

ცხრილი N1

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
1	შპს "თბილისი ენერჯი" (ყაზტრანსგაზი)	ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ.№18ა, დელისის III შესახვევი №22	114 0(32) 240 40 04 faqsi 0(32) 237 64 93 ტელ.0(32)237 63 80 public@te.ge	საყოფაცხოვრებო - 469 700 000 არასაყოფაცხოვრებო - 128 834 375	საყოფაცხოვრებო - 29.954 არასაყოფაცხოვრებო - 63.73- 82.87
2	სს ,,სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ"	ქ.თბილისი, ქიზიყის ქ. №13	16 114 0(32) 2 54 94 30 sggd@socar.ge	არასაყოფაცხოვრებო - 1 400 000	არასაყოფაცხოვრებო 80.09
3	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"	ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ.№24	16 114; socargaz@socar.ge	საყოფაცხოვრებო - 440 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 130 000 000	საყოფაცხოვრებო - 26.381 - 26.909 არასაყოფაცხოვრებო - 51.486-70.449
4	სს ,,საქორგგაზი"	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №13	16 114; sakorggazi@socar.ge	საყოფაცხოვრებო - 9 500 000 არასაყოფაცხოვრებო - 3 400 000	საყოფაცხოვრებო - 26.379-41.82 არასაყოფაცხოვრებო - 58.523-75.966
5	შპს "თელავგაზი"	ქ. თელავი, ვარდოშვილის ქ №15	16 114	საყოფაცხოვრებო - 12 800 000 არასაყოფაცხოვრებო - 4 600 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 62.004-76.072
6	სს ,,ენერგოკავშირი"	ქ. თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპ. №13	0(32) 264 28 69 info@energokavshiri.ge	საყოფაცხოვრებო - 10 800 000 არასაყოფაცხოვრებო - 800 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 67.17
7	შპს "გოგოჭური და კომპანია"	გარდაბანი, სოფ. გამარჯვება	592 80 40 10 venera-venera1@gmail.ru	არასაყოფაცხოვრებო - 3 500 000	არასაყოფაცხოვრებო - 96.6
8	შპს ,,არზუ-გაზი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ვახტანგისი	599 16 03 56	საყოფაცხოვრებო - 450 000 არასაყოფაცხოვრებო - 25 000	საყოფაცხოვრებო - 30.3 არასაყოფაცხოვრებო - 67.86
9	სს ,, საჩხერეგაზი"	ქ. საჩხერე. თამარ მეფის ქ. ჩიხი №8	0(435) 2 51 15; 514 11 22 11 sachxeregazi@yahoo.com	საყოფაცხოვრებო - 5 800 000 არასაყოფაცხოვრებო - 2 700 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 78.255-86.73
10	შპს ,,გამა"	ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67	0(32)224 25 90. info@gamagaz.ge	არასაყოფაცხოვრებო - 1 300 000	არასაყოფაცხოვრებო - 85.87
11	შპს ,,ყამარი მ"	ქ. თბილისი, მუხიანი 2, გამარჯვების ქ. №74	0(790) 88 59 99 551 00 00 58 yamarim@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 3 700 000 არასაყოფაცხოვრებო - 280 000	საყოფაცხოვრებო - 26.477 არასაყოფაცხოვრებო - 72.74
12	შპს ,, ვარკეთილაირი"	ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, III მკრ რ-ნი რაფიელ დვალის ქ№11	(032)227 50 40 (032) 27 50 41 varketilairi@gmail.com	საყოფაცხოვრებო - 15 000 000 არასაყოფაცხოვრებო. - 1 000 000	საყოფაცხოვრებო - 28.63 არასაყოფაცხოვრებო - 79.43
13	შპს ,,დიდი დიღომი"	ქ.თბილისი, დიდი დიღომი; მირიან მეფის ქ. №11	0(32) 253 34 36, info@didi-digomgaz.ge	საყოფაცხოვრებო - 12 500 000 არა საყოფაცხოვრებო - 850 000	საყოფაცხოვრებო - 27.432 არასაყოფაცხოვრებო - 79.221
14	შპს ,,ტაბა"	ქ.თბილისი, ტაბახმელა	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი: 0790 10 04 04; 577 99 88 99 info@tabagas.com	საყოფაცხოვრებო - 1 200 000 არასაყოფაცხოვრებო - 50 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 88.307
15	შპს ,, დი-ვი-ეს"	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა	577903509 mkiladze@cgc.ge	საყოფაცხოვრებო - 14 000 არასაყოფაცხოვრებო - 1 500 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო 71.0-83.0
16	შპს ,, ენერგია +"	ქ. ქუთაისი, ზ.გამსახურდიას ქ №58	551 15 64 51	არასაყოფაცხოვრებო - 2 500 000	არასაყოფაცხოვრებო - 73.5
17	შპს ,,გასკო+"	სენაკი, წმინდა ნინოს ქ. №1	114; 0(32) 219 38 80 (ქოლ ცენტრი); 0(413)22 15 70; 599 74 02 90; 555 49 44 55; gaskopliusi@gmail.com	საყოფაცხოვრებო - 3 700 000 არასაყოფაცხოვრებო - 1 500 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 82.483-95.449
18	შპს ,,აკრიანი 2006"	გარდაბანი, სოფ. მარტყოფი	599 14 17 45	საყოფაცხოვრებო - 1 400 000 არასაყოფაცხოვრებო - 55 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 72.145
19	შპს ,,ჩირაღდანი XXI საუკუნე"	ქ. თბილისი, ქეშურიას ქ.№59	0(32) 254 12 37 chiragdani21@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 5 400 000 არასაყოფაცხოვრებო - 400 000	საყოფაცხოვრებო - 31.669 არასაყოფაცხოვრებო - 74.1
20	შპს ,,ეს ჯი გაზ-კომპანი"	ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ.№100	(0362) 22 32 44 ltd.sjgascompany@gmail.com	საყოფაცხოვრებო - 20 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 2 800 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო 110.0 - 120.0
21	შპს ,,ჩირაღდანი"	ლაგოდეხი სოფ. თელა	599 91 38 93	საყოფაცხოვრებო - 300 000	საყოფაცხოვრებო - 26.382
22	შპს ,,ვაკე"	ქ. თბილისი ელ.ახვლედიანის ქ. №30	577 60 95 60 ; 593 27 17 12 ltdvake@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 902 000 არასაყოფაცხოვრებო - 110 500	საყოფაცხოვრებო 31.669 - 32.589 არასაყოფაცხოვრებო - 88.7
23	შპს ,,მამედ"	მარნეული სოფ. ყიზილაჯლო	0(357) 22 61 57; 599 56 19 73; 592 35 03 55; mamed1947@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 1 800 000 არასაყოფაცხოვრებო - 600 000	საყოფაცხოვრებო 26.865-35.339 არასაყოფაცხოვრებო - 77.712

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი. ** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის 30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. 19 +995 032 2 42 01 80

◎ ხალიჩასა და ტატამზე



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

სპორტის ამ სახეობაში საქართველოს 12 წელიწადია (ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რამაზ ნოზაძემ (96 კგ) და დავით ბედინაძემ (60 კგ) 2007 წელს ბაქოში მოიპოვეს ოქროს მედლები) უფროსებს შორის ჩემპიონი არ ჰყოლია და ნავსი 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნუგზარ წურწუმიამ გატეხა: ჯერ ჩინელ ლიუო ძაოს 9:0 მოუგო, შემდეგ მის გზას გაუყენა რუსი ვიტალი კაბალოევი (8:3), ნახევარფინალში იაპონელ შოთა ოგავას აჯობა (8:0), გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი მასპინძელი ხორლან ჟაკანშა დაჯაბნა (9:0) და ააცრემლა. ცუდი ის არის, რომ 55 კილოში ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზია არ თამაშდებოდა და, შესაბამისად, წურწუმია მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით დაკმაყოფილდა.

ქართველთა ოქროს შემოდგომა

ამბობენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. და აი, ქართველებს ოქროს შემოდგომა აქვთ — აქეთ ხალიჩაზე, იქით — ტატამზე: ახალგაზრდა ძიუდოისტებმა, სხვა ჯილდოებზე რომ არაფერი ვთქვათ, ფინეთის ქალაქ ვანტააში ექვსი ოქროს მედალი დაიმსახურეს, ხოლო „კლასიკური“ სტილით მოჭიდავეებმა ასპარეზობის პირველ დღეს ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანში საქართველოს ჰიმნი ორჯერ ააჟღერეს და ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ერთი საგზური მოიპოვეს.

ასევე, მხოლოდ „ოქროს“ დაყაბულდა 82 კილოში ლაშა გობაძე, რადგან არც ეს წონაა ოლიმპიური. ლაშამ სტარტზე ამერიკელ ჯონ ვალტერ სტეფანოვიჩს მოუგო (7:0), შემდეგ, ასევე, მშრალი ანგარიშით დაამარცხა ჩინელი ჰაიტაი ძიანი (9:0), ნახევარფინალში უზბეკ ნურბეკ ხაშიმბეკოვს სძლია (3:1), ხოლო ფინალში ქართველმა ფალავანმა აზერბაიჯანელ რაფიქ ჰუსეინოვს 5:3 აჯობა. ჩვენებურმა უპირატესობა პირველივე პერიოდში მოიპოვა - 5:0 დაწინაურდა. მეორე პერიოდში აზერბაიჯანელმა სამი ქულა აართვა გობაძეს, მაგრამ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა უპირატესობის შენარჩუნება და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა მაინც შეძლო. საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ისტორიაში ლაშა მე-15 მსოფლიოს ჩემპიონია. საგულისხმოა ისიც, რომ ერთ ტურნირზე ქართველებს მსოფლიოს ორი ჩემპიონი მეხუთედ ჰყავთ.

ყაზახეთში საქართველოს 2020 წლის ოლიმპიადის ლიცენზია 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე გიორგი მელიამ მოუტანა.

ძიუდო

ფინეთის ქალაქ ვანტააში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა ცხრა მედალი მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ეთერ ლიპარტელიანი (57 კგ), გიორგი თუთაშვილი (66 კგ), ტატო გრიგალაშვილი (81 კგ), ლაშა ბექაური (90 კგ), ილია სულამანიძე (100 კგ) და გელა ზაალიშვილი (+100 კგ). თანაგუნდელ გრიგალაშვილთან გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა ვლადიმერ ახალკაცი (81 კგ), რომელსაც ვერცხლის მედალი ერგო, ხოლო მარიამ ჭანტურიამ (70 კგ) და მიხეილ ბექაურმა (90 კგ) მესამე ადგილები დაიკავეს. საგულისხმოა, რომ ვაჟთა შვიდი წონითი კატეგორიიდან ხუთში ქართველებმა მოიხვეჭეს „ოქროები“.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

გასროლა ჩეხეთში

თბილისელმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ წარმატებით ითამაშა ქალთა 25.000-იან ტურნირში, რომელსაც ჩეხეთის ქალაქმა ფრიდეკ მისტეკმა უმასპინძლა. ჩვენებური ერთეულებში მესამე ნომრად იყო განთესილი. გორგოძემ ზედიზედ სძლია ჩანელ ვან ნგუენს (აშშ) — 7:5, 6:3, მაკედონიელ ლინა ჯორჩესკას — 3:6, 6:3, 6:3, ჩეხ ჯესიკა მალეჩკოვას — 5:2 (მეტოქემ ტრავმის გამო ასპარეზობა ვერ დაასრულა), შეჯიბრების მე-6 ნომერ დესპინა პაპამიჩალს (საბერძნეთი) — 6:0, 6:2, ხოლო ფინალურ პაექრობაში გერმანელი კატარინა გერლაჩი დაამარცხა — 6:1, 7:6, რომელიც გორგოძეს შარშან ესენის 25.000-იანი ტურნირის სტარტზეც ჩამოუშორებია გზიდან — 6:0, 1:6, 6:1. მიმდინარე კვირას გორგოძე საფრანგეთის 60.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში ჩაებმება.

ლაშა დიდია

◎ ბონდო კაკუბავა — 75

მაგრამ ის მაინც პირველი იყო...

ბონდო კაკუბავას სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, ქართული ფეხბურთის მატიანეში მაინც ოქროს ასოებით ჩაწერდა საკუთარ სახელს, რადგან ვიტალი დარასელიას პირველი მწვრთნელობა, დამეთანხმებით, თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე.



„ოჩამჩირელი ვარ. ამ პატარა ქალაქში ყველას ერთმანეთი უყვარდა. რაც დედაა შვილისათვის, იგივეა აფხაზეთი ჩემთვის. თითქმის მთელი ცხოვრება იქ გავატარე და ყველაფერი იქ დამრჩა. არამარტო სახლკარი, მეგობრებიც — როგორც ქართველი, ისე აფხაზი. იქ სულ სხვა სიყვარული იყო“ — სევდიანად გვიზიარებს გულისტკივილს სამშობლოში ლტოლვილად ქცეული ფეხბურთელთა თაობების აღმზრდელი და ჩვეული პირუთვნელობით ამხელს საყვარელ საქმეში შექმნილ სავალალო ვითარებას:

„ქართულ ფეხბურთში დღეს კატასტროფული მდგომარეობაა. პრობლემის სათავე ის გახლავთ, რომ სახელმწიფო სექტორში აღარაფერი დარჩა — ყველაფერი გაიყიდა და ყველა საფეხბურთო გუნდი კერძოა. ადრე სპორტის ამ სახეობაში ახალბედებს უფასოდ ვწვრთნიდით, თანხებითაც და სამოსითაც ჩვენ უზრუნველვყოფდით, დღეს კი, თუ ფული არ გაქვს, ვერსად დაკავდები. შესაბამისად, ტალანტებიც იკარგება. ვარჯიშობს ის, ვისაც ფული აქვს, ნიჭიერი ბავშვი კი უსახსრობის გამო სახლში ზის.

მოკლედ, მიმაჩნია, რომ ეს სახელმწიფოს პრობლემაა და ბიზნესმენებთან ერთად მანვე უნდა მოაგვაროს“.

ძნელია არ დაეთანხმო საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენოსან ღირსეულ პიროვნებასა და პროფესიონალ სპეციალისტს, რომელიც მდიდარ გამოცდილებას პოპულარულ საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ უზიარებს შეგირდებს.

დიდი ოჯახის უფროსს 75 წლის იუბილეს ვულოცავთ და სანატრელ აფხაზეთში დაბრუნებას ვუსურვებთ.

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ სუმო

ბრძოლას აგრძელებს

აკი ბაშოს მეცხრე საშეჯიბრო დღე კვლავ წარმატებული გამოდგა ლევან გორგაძისთვის. ტოჩინოშინი კომუსუბი ენდოს დაუპირისპირდა და მისი დამარცხება ჰატაკიკომის ილეთით მოახერხა.

ჩვენებურმა შეტაკებისთანავე დასცა მეტოქე და შემოდგომის სუპერტურნირზე მეოთხე გამარჯვება დოჰიოზე მოიპოვა.ქართველმა დადებითი ბალანსის მოსაპოვებლად გარკვეული შანსები დაიტოვა, ამიტომ დარჩენილი 6 ორთაბრძოლიდან 4 მოგება მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ოძეკის პრესტიჟულ ტიტულს დაკარგავს.

ეს აღნიშნული წყვილის მე-11 დაპირისპირება გახლდათ, რომელთაგანაც ქართველმა 5 მოგებით დაასრულა,

ექვსში კი თავად დამარცხდა.

ლევანის მომდევნო მეტოქე მეხუთე მაეგაშირა ჩიიოტარიუ იქნება, რომელსაც მიმდინარე ბაშოზე 2 მოგების საპირისპიროდ 7 მარცხი აქვს. რაც შეეხება ურთიერთშეხვედრებს, ტოჩი მეტოქეს დიდად აღემატება, რადგან ცხრა დაპირისპირებიდან მხოლოდ 2-ში დამარცხდა, 7-ჯერ კი ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

წლის მეხუთე სუპერტურნირს 8 მოგებით და 1 მარცხით მერვე მაეგაშირა ოკინოუმი და მე-10 მაეგაშირა მეისეი ლიდერობენ, 7:2-ზე ბალანსი კი მიტაკეუმს, ტაკაკეიშოს და ასანოიამას აქვთ.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

უკვე — ორგზის!

13-წლიანი შესვენების შემდეგ ესპანეთი მეორედ ავიდა საკალათბურთო ოლიმპზე.

ჩინეთში დასრულებული ფორუმის ფინალში სერჯიო სკანიოლოს გუნდმა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი (1950 წ.) არგენტინა გააცამტვერა — 95:75.

აღსანიშნავია, რომ იტალიელი მწვრთნელის შეგირდებმა მთელი მუნდიალი უდანაკარგოდ განვლეს, ტურნირის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ კი სატიტულო ბრძოლის გმირი (20 ქულა) რიკი რუბიო დასახელდა.

დავძენთ, რომ თანამემამულეთა ტრიუმფში ასევე ღირსეული წვლილი შეიტანეს ლულმა, გაზოლმა, ფერნანდესმა, კლავერმა და ძმებმა გომესებმა.

მატჩი III ადგილისთვის: საფრანგეთი — ავსტრალია 67:59.

◎ ეს უნდა იცოდეთ!

კლიმატის ცვლილების სწრაფი ტემპი

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენები, მაგალითად, როგორიც არის ევროპაში ამ ზაფხულს აღრიცხული სითბური ტალღები (ძლიერი სიცხე), გაცილებით უფრო ადრე ხდება, ვიდრე ამას სპეციალისტები ელოდებოდნენ. ამის შესახებ მეცნიერი და პროფესორი, სერ დავიდ კინგი BBC-თან საუბარში აცხადებს.

როგორც მან BBC-ს უთხრა, ის რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოვლენამ „შეაშინა“, რის გამოც დიდ ბრიტანეთს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით შემდეგი 10 წლის მიზნების გადახედვისკენ მოუწოდებს. თუმცა, როგორც გაეროს ექსპერტი კლიმატის საკითხებში აცხადებს, სიტყვამ „შიში“ ახალგაზრდებში შესაძლოა, დეპრესია და დაძაბულობა გამოიწვიოს.

კლიმატის დამცველი კამპანიის მონაწილეები კი აცხადებენ, რომ ადამიანები არ იმოქმედებენ იქამდე, სანამ არ შეეშინდებათ.

BBC-სთან ინტერვიუში პროფესორი კინგი (რომელიც ხელისუფლების ყოფილი მრჩეველი მეცნიერია გარემოს დაცვის საკითხებში) ამბობს: **„შიში მართებულია. ჩვენ ველოდებოდით ტემპერატურის მატებას, მაგრამ წინასწარ არ განგვიხილავს ის ექსტრემალური მოვლენები, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს“**. რამდენიმე სხვა მეცნიერ-პროფესორი კინგის შეშფოთებასა და შიშებს იზიარებს.

ფიზიკოსი ლონდონის საიმპერატორო კოლეჯიდან, პროფესორი ჯო ჰაი (Jo Haigh) ამბობს: „პროფესორი კინგი მართალია, რომ ეშინია. მეც მეშინია“.

რამდენად მისაღებია კლიმატის ცვლილებაზე ემოციური და შემაშინებელი სიტყვებით საუბარი, ამას მეცნიერებისა და საქმის სპეციალისტების ნაწილი არ ეთანხმება. მაგალითად, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გენერალური მდივანი პეტერი ტაალასი აცხადებს, რომ ის სრულად ეთანხმება გაეროს მიზნებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა აკრიტიკებს რადიკალურ მწვანე მოძრაობებს. ტაალასის თქმით, პოლარული ყინული ნამდვილად დნება, მაგრამ, მისი აზრით, საზოგადოებაში შიშის გაჩენა პარალიზებას გამოიწვევს, ასევე ახალგაზრდებში მენტალური პრობლემების წინაპირობა გახდება.

„როდესაც ჩვენ ვიყავით ახალგაზრდები, ჩვენ ბირთვული ომის გვეშინოდა. სერიოზულად ვფიქრობდით, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ შვილები არ გვეყოლებოდა“, — ამბობს პეტერი ტაალასი. **„ახლაც იმავე სენტიმენტებს ვგრძნობ ახალგაზრდებში. ასე, რომ ჩვენ კომუნიკაციის მეთოდებში ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ“**, — ამბობს ტაალასი.

23 სექტემბერს ნიუ-იორკში გაეროს კლიმატის მორიგი სამიტი დაიწყება.

ათ წელიწადში უმუშევართა ბუმი დაიწყება

ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ადამიანებისთვის ყოველგვარი საქმის კეთება გაიოლდა. შეიქმნა უამრავი რესურსი იმისთვის, რომ ყველა სფეროში მარტივად ვიმუშაოთ. სწორედ ამიტომ, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მომავალ 10 წელიწადში უამრავი პროფესია გაქრება და შესაძლოა, ამან უმუშევრობის დონეც გაზარდოს. კვლევების თანახმად, ცნობილია ისიც, რომ ეს დიდი შემცირება უმეტესად ქალბატონებს შეეხება.

ცვლილებები შეეხება განათლების სისტემას. შესაძლოა, რომ ის ნივთები, რომლებიც განათლების მისაღებად დღეს ჩვენთვის აუცილებელია, 10-20 წლის შემდეგ საერთოდ ვერ გამოვიყენოთ.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება კარდინალურად შეცვლის საგანმანათლებლო სისტემას. უცხოური გამოცემები წერენ, რომ ონლაინ კურსის სტუდენტები უტოლდება იმ სტუდენტთა რიცხვს, რომლებიც უნივერსიტეტებში ესწრებიან სხვადასხვა ლექციას.

მეცნიერთა აზრით, მომავალში შესაძლებელი იქნება რუტინული საქმეების ავტომატიზირება — ანუ მას სხვადასხვა პროგრამები და რობოტები შეასრულებენ, სწორედ ამიტომ, 400 მილიონი ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩება. McKinsey Global Institute-ს ცნობით, ეს რიცხვი მსოფლიო მასშტაბით სამუშაო ადგილების 15%-ია.

ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორის ანგარიშით, 1 ჭკვიანი რობოტი 3 - 6 ადამიანს აკარგვინებს სამუშაო ადგილს.

მათი ინფორმაციით, ამ შემცირებაში ყველაზე მეტად ქალბატონები მოხვდებიან, რადგან სტატისტიკის მიხედვით, ქალები ყველაზე ნაკლებად ასრულებენ სამუშაოებს, რომელსაც ანალიტიკა ან თუნდაც, ძალის გამოყენება სჭირდება. ქალბატონები უფრო მეტად ასრულებენ რუტინულ სამუშაოებს, ვიდრე მამაკაცები.

მეცნიერთა დაკვირვებით, წლების შემდეგ ყველაზე მეტად თანამშრომელთა რიცხვი შემცირდება ბანკებში და სადაზღვევო კომპანიებში, ასევე ენერგეტიკაში, მრეწველობასა და სავაჭრო სფეროებში.

დაკვირვების მიხედვით პროფესორები ამტკიცებენ, რომ ტექნოლოგიური განვითარება ვერ ავნებს რამდენიმე სფეროში მომუშავე ადამიანებს, მათ შორისაა: ექსპერტები, ანალიტიკოსები, თანამშრომლები, რომლებიც სოციალურ სფეროში საქმიანობენ, მებაღეები, ასევე ის ადამიანები, რომლებიც ბავშვებსა და მოხუცებს უვლიან.

ხსოვნა

გოდერძი კუპრავა



საქართველოს საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი ენერგეტიკოსი, ღრმად განსწავლული ინჟინერი და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტი გოდერძი კუპრავა.

დაიბადა 1945 წლის 25 თებერვალს წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში. 1969 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი „ელექტროსადგურების“ სპეციალობით. 1963-1965 წ.წ. მუშაობდა თბილისის თბოელექტროცენტრალის საქვაბე საამქროს ზეინკლად. 1969 წ. მუშაობა დაიწყო რიონჰესის კასკადში მორიგე ინჟინრად; 1970 წელს — ვარციხე ჰესების კასკადის ელექტროლაბორატორიის ინჟინრად. 1975 წ. ლაინიშნა ელექტრომექანიკური საამქროს უფროსად, ხოლო 1976 წ. — ვარციხე ჰესის პირველი ჰესის სადგურის უფროსად; 1979 წელს — ვარციხე ჰესების კასკადის მთავარ ინჟინრად. 1985-2005 წ.წ. ვარციხე ჰესის კასკადის გენერალური დირექტორია. ამ წლების მანძილზე მან განსაკუთრებულად სასარგებლო პროფესიონალური გამოცდილება შეიძინა, რაზედაც მეტყველებს ის გარემოება, რომ ვარციხე ჰესების კასკადში შემავალი ოთხი, ტიპურად ერთნაირი ჰიდროელექტროსადგური უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით გაიშვა 1976, 1978, 1980 და 1988 წ.წ.

მისი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვამ დიდი როლი შეასრულა ვარციხე ჰესების კასკადის მუშაობის იმედიანობის უზრუნველყოფაში. სამი გამოგონება დაპატენტებულია „საქპატენტის“ მიერ. 2005 წ. მუშაობდა შპს „ვარციხე 2005“ დირექტორის მრჩევლად. 2006 წ. პენსიონერია და ქ. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე აქტიურად ეწევა სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დაუღალავი საქმიანობა ფაკულტეტის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ.

მძიმე სენმა შეზღუდა ბატონი გოდერძის პროფესიონალური საქმიანობა. უამრავი ინჟინრული ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. იგი ღირსეული თვისებების მქონე მოქალაქე გახლდათ და სათანადოდ აფასებდა მაღალი ღირებულებების მატარებელ ადამიანებს. წავიდა საზოგადოებისთვის სამაგალითო და ერთგული შვილი. მისი სახელი არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

მსუბუქი იყოს გოდერძი კუპრავასთვის მშობლიური ქართული მიწა, ნათელში ამყოფოს უფალმა ზეციურ საქართველოში მისი სული.

მეგობრები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, სამართალმცოდნეობის დარგის წარჩინებული მუშაკი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული იურისტი, ღირსების ორდენის კავალერი

კონსტანტინე (კოტე) სიჭინავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქეთევან ქართველიშვილი

დიდებული ოჯახის შვილი, ჯავარიანი გარეჯელი მანდილოსანი, გიორგიწმინდელების სახელოვანი რძალი, სიკეთისა და სიყვარულის განსახიერება, ღირსეული შვილებისა და შვილიშვილების გამზრდელ-აღმზრდელი, მტერთან მტერი და მოყვარესთან მოყვარე, მუდამ სამართლიანი და პრინციპული, ოჯახზე თავგადადებული, სამეგობროს თვალისჩინი, ირგვლივ სიკეთის მთესველი...

ვალმოხდილი განერიდა წუთისოფელს ქეთო ქართველიშვილი და ზეციურ საქართველოს შეუერთდა. მისი საოცარი ღვაწლი და თავდადება არასოდეს დაავიწყდება სულხან (სუხო), ლია და დათო ჭიაბერაშვილების ძირძველ, ლამაზ ოჯახს, დიდ სამეგობროს. უტკბილესი მეუღლის, დედისა და ბებიის სახელი მუდამ იცოცხლებს არა მხოლოდ გიორგიწმინდაში, არამედ — მთელ საგარეჯოში. მშვიდობით, დიდებულო ქალბატონო!

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

ოჯახის ახლობლებისა და მეგობრების სახელით

მანანა და სპარტაკ ქოზულიები

გრიშა ონიანი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გიორგი მამაცაშვილის დედის

ირინა მამაცაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად უსამძიმრებს მეგობარ ჟურნალისტს გიორგი მამაცაშვილს დედის

ირინა მამაცაშვილის

გარდაცვალების გამო.

დავით აღმაშენებლის უნიკალური მონეტა

17 სექტემბრიდან ბრიტანეთის საბჭო და ბრიტანეთის საელჩო საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად წარმოგიდგენთ დავით აღმაშენებლის უნიკალური მონეტის გამოფენას.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სპილენძის მონეტა, რომელიც მსოფლიოში პირველად, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამოიფინება, დავით IV აღმაშენებლის მიერ მოჭრილ მონეტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. მას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. ამ მონეტის წარწერა ასახავს XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ხაზს. ავერსზე წარმოდგენილია დავით მეფის გამოსახულება ბიზანტიურ სამოსში; თავზე ადგას ჯვრით დამშვენებული გვირგვინი – სტემა, მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში კი – ჯვრიანი სფერო. გამოსახულების თანმხლები ასომთავრული წარწერა მას მეფე დავითად მოიხსენიებს. რევერსზე, მონეტის ცენტრში, თანაბარმკლავიანი ჯვრის გამოსახულებაა, რომელსაც გარშემო ქართული ასომთავრული წარწერა გასდევს: „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“.

გამოფენა იმართება საქართველოში ბრიტანული სეზონის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ პროგრამას 60-ზე მეტი ღონისძიებით. სეზონის ერთობლივად წარმოდგენილია ბრიტანეთის საბჭოს და ბრიტანეთის საელჩოს მიერ.

აუდიტორია შეძლებს იხილოს დავით აღმაშენებლის მონეტა როგორც მუზეუმში, ასევე ინტერნეტ სივრცეში – სპეციალურად შექმნილ ახალ ციფრულ პლატფორმაზე: https://www.britishcouncil.ge/en/king-david. ვებ-გვერდზე ასევე გაეცნობით დავით აღმაშენებლის ეპოქას და იხილავთ მონეტას 3D ფორმატში.

რეზო თოფურია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ელექტროველოსიპედების ერა დაიწყო

2020 წლის თებერვლიდან პარიზის ხელისუფლება დედაქალაქის მცხოვრებლებს ელექტრონული ველოსიპედის შეძენისთვის 500 ევროთი დაეხმარება. ამის შესახებ ინფორმაციას Deutsche Welle ავრცელებს.

ტრანსპორტის მინისტრის ვალერი პეკრესის თქმით, მთავრობას წარედგინა ინიციატივა, რომელიც მოქალაქეებისთვის ელექტრონული ველოსიპედის შესაძენად 500 ევროს მისცემს. როგორც DW წერს, კარგი ელექტროველოსიპედები საშუალოდ 2000 ევრომდე ღირს.

ეს შეთავაზება ძალაში თებერვლიდან შევა. სექტემბრიდან კი ამოქმედდა სატესტო პროგრამა Veligo, რომელიც მოქალაქეებს ელექტროველოსიპედების გრძელავადიანი პერიოდით დაქირავების შესაძლებლობას აძლევს. ამ სერვისის ღირებულება თვეში 40 ევრომდეა, რომლის ნახევარიც შესაძლებელია, რომ დამქირავებელმა დაუფაროს დასაქმებულს. პროგრამის ფარგლებში გასაქირავებლად პარიზში ჯამში 20 ათასი გასაქირავებელი ელექტრონული ველოსიპედის შემოყვანა იგეგმება. ამ მხრივ Veligo მსოფლიოში ელ.ველოსიპედების გაქირავების ყველაზე მასშტაბური პროგრამა იქნება.

გამოჩნდა ორადგილიანი აეროტაქსი

გერმანიის ქალაქ შტუტგარტში ორადგილიანი უპილოტო აეროტაქსის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ამის შესახებ Twitter-ზე მწარმოებელი კომპანია Volocopter-ის ტექნიკური დირექტორი იან-ჰენდრიკ ბიოლენსი წერს.

Deutsche Welle-ს ინფორმაციით, ელექტროძრავებზე მომუშავე ვოლოკოპტერი-ტაქსი Mercedes-Benz-ის მუზეუმის მახლობლად ჰაერში 4 წუთის განმავლობაში რჩებოდა, პილოტი მას მიწიდან მართავდა, ტაქსიში კი არავინ იჯდა.

ავტოკონცერნ Daimler-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარის ოლა კალენიუსის განცხადებით, ვოლოკოპტერი-ტაქსი საცობების პრობლემას მოაგვარებს. Daimler-ი მონაწილეობას მიიღებს პროექტში, რომლის მიხედვითაც, მომავალში ვოლოკოპტერი ავტონომიურ რეჟიმში, ადამიანის ჩარევის გარეშე უნდა იმართებოდეს.

კომპანია Volocopter-ის ხელმძღვანელი ფლორიან როიტერი იმედოვნებს, რომ 2-3 წელიწადში ვოლოკოპტერი ტაქსის ლიცენზიას მიიღებს.

ბოლო დღე სამსახურში... ჯამბაზთან ერთად

ახალ ზელანდიაში კაცმა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შეხვედრისთვის ჯამბაზი დაიქირავა. ამის შესახებ BBC წერს.

გამოცემის ინფორმაციით, ერთ-ერთი ფირმის სპეციალისტმა ჯოშ ტომპსონმა მიიღო წერილი, რომლითაც ხელმძღვანელობამ აცნობა, რომ ფირმაში ჯოშის მომავლის განხილვას აპირებენ და მხარდაჭერისთვის შეხვედრაზე ახლობლის მოყვანა შესთავაზა.

ჯოში მიხვდა, რომ მას გათავისუფლება ელის და მეგობრის ნაცვლად შეხვედრაზე დაქირავებული ჯამბაზი მიიყვანა. საუბრის დროს ჯამბაზი გასაბერი ბუშტებისგან ცხოველებს აკეთებდა და როცა ჯოშს უთხრეს, რომ ათავისუფლებენ, ჯამბაზმა ტირილი განასახიერა.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯოშს ორიგინალობა დაუფასა, თუმცა, გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების შესახებ არ შეუცვლიათ. ამის მიუხედავად, ჯოში ჯამბაზის მუშაობით კმაყოფილი დარჩა.

მკვლელი კაჭკაჭი

ავსტრალიაში კაცი კაჭკაჭის თავდასხმის შედეგად დაიღუპა, – წერს CNN. კერძოდ, 75 წლის კაცს, რომელიც ველოსიპედით მგზავრობდა, გააფთრებული კაჭკაჭი თავს დაესხა. კაცმა წონასწორობა დაკარგა და ღობეს შეეჯახა. შედეგად, მან თავის მძიმე დაზიანებები მიიღო და გარდაიცვალა.

ავსტრალიაში კაჭკაჭები გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონებზე განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან, რადგან ამ პერიოდში ბარტყებს ჩეკენ და მათ იცავენ. ამ დროს ჩიტებისგან თავდასხმა ჩვეულებრივი მოვლენაა და მოსახლეობა, პირდაპირი მნიშვნელობით, მათ ემალება.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9607; ევრო - 3.2855;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6878;
100 რუბლი - 4.6066; თურქული ლირა - 0.5215;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7415;
1000 სომხური დრამი - 6.2069.

ამინდი 17 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +26
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +23
თბილისი: ღამე +17, დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge